ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის

„გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება – 2012“

განხორციელებული მონიტორინგის
შედეგები

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
სექტემბერი, 2013 წ.
ქ. თბილისი

შინაარსი[1]

1. მონიტორინგის მიზანი და ამოცანა
2. მონიტორინგის განხორციელების პროცესი
3. მუნიციპალური ბიუჯეტის პრიორიტეტები და გადაწყვეტილებები
4. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის საკითხი
5. ორგანიზაციის დასკვნა
6. სარეკომენდაციო ნაწილი

[1] მონიტორინგის შედეგების ელექტრონული ვერსია განთავსებულია ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე: www.barristers.ge

1. მონიტორინგის მიზანი და ამოცანა

საქართველოში, პოლიტიკური პროცესების დღის წესრიგში, თვითმმართველობის ძირეული რეფორმის საჭიროება, 2006 წლის ადგილობრივი არჩევნების გამართვამდე დადგა. 2005 წლის 16 დეკემბერს, პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, რომელმაც, მოცემულ ეტაპზე, დაასრულა ხანგრძლივი საზოგადოებრივი დისკუსია თვითმმართველობის სხვადასხვა მოდელის პრიორიტეტულობის შესახებ.

კანონმა ევროპული ქარტიის პრინციპებს დაუახლოვა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი, ეკონომიკური და ფინანსური საფუძვლები, სახელმწიფო გარანტიები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის, მათი უფლებამოსილებისა და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის წესი.

კანონმა შემოიღო ერთდონიანი თვითმმართველობა რაიონული მუნიციპალიტეტების სახით, თუმცა თვითმმართველობის ხელისუფლების შტოებს შორის, ცალკეულ შემთხვევებში, დაუბალანსებელი უფლებამოსილებებით. რეფორმამ დადებითი მოიტანა ის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების კონტროლის უფლებამოსილებით, სახელმწიფოსთან ერთად, მოსახლეობაც აღჭურვა. სამოქალაქო ინიციატივებისა და ჩართულობის უპირატესობის გამოკვეთით, კანონმა ადგილობრივ მოსახლეობას და მათ შორის, სამოქალაქო ჯგუფებს, შესაძლებლობა მისცა:

1. აირჩიონ და არჩეულ იქნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში,
2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დაიკავონ ნებისმიერი თანამდებობა, თუ აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს,
3. მიიღონ საჯარო ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსგან და თანამდებობის პირებისგან; წინასწარ გაეცნონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებების პროექტებს; მონაწილეობა მიიღონ მათ განხილვაში; მოითხოვონ გადაწყვეტილებათა პროექტების გამოქვეყნება და საჯარო განხილვა,
4. მიმართონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და თანამდებობის პირებს,
5. განახორციელონ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებანი.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობების პოლიტიკურმა პოზიციამ ნეიტრალიტეტი 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში დაკარგა.

ადგილობრივი მთავრობები, რომლებიც მოსახლეობამ 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად აირჩია, იმჟამად მმართველი პარტიის – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ უმრავლესობებით დაკომპლექტდნენ. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დროს, მუნიციპალური ხელისუფლება სახელისუფლებო პარტიის ინტერესების დაცვას შეეცადა, რაც საარჩევნო პროცესში, მთავარი ოპოზიციური გაერთიანებისთვის – ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნებისთვის“, ადგილობრივ დონეებზე, წინააღმდეგობების შემქმნელი და ხალხის ოპოზიციური პარტიის ლიდერებთან შეხვედრების დამაბრკოლებელი ინსტრუმენტი გახდა. თვითმმართველობებმა დაივიწყეს კანონით აღიარებული საქმიანობის პრინციპები: საჯაროობა, მოქალაქეთა თანამონაწილეობა, კანონიერება და ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე. ადგილობრივი მოსახლეობის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შეზღუდვის ფაქტი დაფიქსირდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის (გამგეობა, საკრებულო) მხრიდანაც, რამაც ორგანიზაციის წინასაარჩევნო მონიტორინგის ფორმატში, შესაბამისი ყურადღება დაიმსახურა.

ორგანიზაციამ 2012 წლის 23 სექტემბერს, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ოპოზიციური მოძრაობის ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრის ჩაშლის მცდელობაში,

ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენელთა მონაწილეობა გამოკვეთა.[2] მუნიციპალიტეტის გამგეობა ბიძინა ივანიშვილის ადგილობრივ საზოგადოებასთან შეხვედრის დეორგანიზაციას ცდილობდა, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობისა და მკაცრი მოთხოვნების შედეგად, ადგილობრივი ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის ქობულეთის საზოგადოებასთან შეხვედრის დროს, სცენის დამოტაჟებას დასთანხმდა. ადგილობრივი თვითმმართველობა სცენის დადგმას ოპოზიციური პარტიას ჯარიმის სანაცვლოდ დაეთანხმა. კოალიციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები აცხადებდნენ, რომ შეხვედრისთვის თვითმმართველობის ორგანოსათვის არ იყო წინასწარი მიმართვა. ამიტომაც, სცენის დადგმა და ხალხთან შეხვედრის გამართვა კანონდარღვევა იქნებოდა, რასაც ვერ დაუშვებდნენ. საკითხის გარკვევაში, ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაში მყოფი მოქალაქეები აქტიურად ჩაერთვნენ. ადგილობრივების წინააღმდეგობის შედეგად, მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებმა განაცახდეს, რომ სცენის დამონტაჟებას ხელს აღარ შეუშლიდნენ, თუმცა თვითმმართელობა ადმინისტრაციულ წესით მომხდარზე ჯარიმას დაადგენდა. კოალიციის წარმომადგენლები შეთანხმებას დასთანხმდნენ. ორგანიზაციის ადვოკატირების ჯგუფი ადგილზე დააკვირდა თვითმმართველობისა და მოსახლეობის პოლიტიკური უფლებების რეალიზების პროცესს,[3] დადასტურდა, რომ აღნიშნული შეხვედრა წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ტარდებოდა, იყო მთლიანად მშვიდობიანი, საინფორმაციო ხასიათის და არ იგეგმებოდა საავტომობილო მოძრაობის შეზღუდვა, მეტადრე, გზის სავალი ნაწილის გადაკეტვა. შესაბამისად, ადგილობრივმა თვითმმართველობამ არ გაითვალისწინა ასეთი გარემოებების დროს საქართველოს კონსტიტუციისა და „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც, „ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო“.

ორგანიზაციის მონიტორინგის განხორციელების გადაწყვეტილება დაეფუძნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მმართველობის სამართლიანობისა და საჯაროობის პრინციპების დადგენას. ამასთან, არჩეული სტრატეგიის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობების გადაწყვეტილებების შესწავლა, მოქალაქეთა თანამონაწილოების საკითხის შესწავლა და ადგილობრივი ამომრჩევლების წინაშე ანგარიშვალდებულების შეფასება. მონიტორინგმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ქობულეთის საკრებულოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის საკითხს და კვლევის პროცესში ჩამოაყალიბა შემდეგი მიზნები და ამოცანები:

1. რამდენად ახლოს დგას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა და გადაწყვეტილებები „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონის პრინციპებთან და ძირითად დებულებებთან

2. როგორია ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობისა და მმართველობის სისტემა მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცესში და ადგილობრივი საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებისთვის.

3. რამდენად ახლოს დგას ქობულეთის მუნიციპალიტეტის გადაწყვტილებები ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებებთან და სწორად შერჩეულ პრიორიტეტებთან.

[2] http://www.gurianews.com/home/2010-11-25-16-57-25/5730-2012-09-23-13-10-01.html
[3] http://www.gurianews.com/home/2010-11-25-16-57-25/5730-2012-09-23-13-10-01.html

4. არის თუ არა უზრუნველყოფილი საკრებულოს საქმიანობისა და გადაწყვეტილებების გაცნობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის და რა ფორმით

5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამჭვირვალობისა და საჯაროობის საკითხი ეფუძნება თუ არა თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიის მოთხოვნებსა და ევროსაბჭოს რეკომენდაციებს

6. რა ფორმით უნდა გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა და თანამონაწილეობა ადგილობრივი დონის საკითხების გადაწყვეტაში

7. რამდენად ეფექტურია ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი

8. ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი შესაძლებლობებისა და პრევენციის დადგენა

2. მონიტორინგის განხორციელების პროცესი

ორგანიზაციამ მონიტორინგის განხორციელების პროცესში, იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37–ე, მე–40 მუხლებითა და ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მე–2, მე–5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ ორგანოსთან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის უფლებით.

ორგანიზაციამ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართა მონიტორინგისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოწოდებისათვის:

2013 წლის 14 იანვარს შემდეგი საჯარო ინფორმაციის მოწოდებისთვის:

- ქობულეთის საკრებულოს წევრთა რაოდენობა, მათი პარტიული კუთვნილება, საკრებულოში არსებული ფრაქციების შესახებ ინფორმაცია.
- ქობულეთის საკრებულოს წევრის თემურ ჯინჭარაძის საკრებულოში არჩევის პერიოდი, მისი ბიოგრაფია და საკონტაქტო ინფორმაცია.
- 2012 წლის განმავლობაში, ქობულეთის საკრებულოს მიერ ის გადაწყვეტილებები, რომლის მიღებაშიც მონაწილეობას ღებულობდა თემურ ჯინჭარაძე. შესაძლებელია, მოწოდებულ იქნეს სტატისტიკა გადაწყვეტილებების რაოდენობის შესახებ, რომლის მიღებაშიც მონაწილეობდა დეპუტატი.
- ქობულეთის საკრებულოს წევრის, თემურ ჯინჭარაძის პოლიტიკური პარტიის კუთვნილება არჩევის დროს და 2013 წლის 11 იანვრის მდგომარეობით.
- ქობულეთის საკრებულოს წევრის, თემურ ჯინჭარაძის ხელფასის ოდენობა, გაცემული პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ საჯარო ინფორმაცია 2012 წლის 01 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

2013 წლის 4 თებერვალს შემდეგი საჯარო ინფორმაციის მოწოდებისთვის:

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2012 წლის განმავლობაში მიღებული ყველა – 31 დადგენილება და 272 განკარგულება.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2013 წლის 01 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით მიღებული განკარგულებები და დადგენილებები, თუკი ასეთი არსებობს.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიმართ, მათ შორის საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა მიმართ, 2012 წლის განმავლობაში გაცემული პრემიები და სახელფასო დანამატები.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხა, ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება მათი სამსახურეობრივი პოზიციის მიხედვით, თითოეული მათგანის შრომითი ხელშეკრულებები ან/და დანიშვნის ბრძანებები.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამტკიცებული საშტატო გეგმა 2012 წლის 31 დეკემბრის თვის მდგომარეობით.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტი და ამ ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი.

ორგანიზაციის მონიტორინგის განხორციელების პროცესი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ხარვეზით წარიმართა.

ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანომ არ უზრუნველყო 2013 წლის 4 თებერვალს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა. ორგანიზაციამ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2013 წლის

15 მარტს ახალი განცხადებით მიემართა.[4] წერილში აღინიშნა, რომ „ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანომ დაუსაბუთებელი გარემოებით ორგანიზაციის მოთხოვნა გამოხმაურების მიღმა დატოვა. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ასეთი გადაწყვეტილება ბუნდოვანია და კითხვებს აჩენს, რითაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ თვითმმართველობის ორგანო საჯარო ინფორმაციას მიზანმიმართულად არ გასცემს“ (სტილი დაცულია).[5] საკრებულომ ორგანიზაციის ხელმეორე მიმართვას 2013 წლის 21 მარტს უპასუხა.[6] ორგანიზაციამ ადგილობრივი თვითმმართველობიდან საჯარო ინფორმაცია, ნაკლოვანი სახით, თუმცა მნიშვნელოვანი მოცულობით 2013 წლის 24 ივნისს, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის შემდეგ მიიღო, სულ 1960 ფურცელი.[7]

---

[4] „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2013 წლის 19 მარტს სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს, თემაზე: „ქობულეთის საკრებულო ბიუჯეტის გამჭვირვალობაზე საჯარო ინფორმაციას ასაიდუმლოებს“.

[5] ციტატა ორგანიზაციის მიერ 2013 წლის 15 მარტს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიმართ გაგზავნილი განცხადებიდან: „ქობულეთის საკრებულოს მხრიდან საჯარო ინფორმაციაზე უარი არ ემსახურება დემოკრატიული მმართელობის პრინციპებს და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებს. ჩვენ სრულებითაც არ გვსურს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა მთლიანად მოწყვეტილი აღმოჩნდეს გამჭვირვალე მმართველობას და ანგარიშვალდებულებას. ამიტომაც, ხელმეორედ ვიყენებთ თქვენთვის მომართვის შესაძლებლობას და მოგიწოდებთ, საჯარო ინფორმაციისთვის დადგენილი 10–დღიან ვადაში მოგვეწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია. სხვა შემთხვევაში, გვეცნობოს პასუხი, თუ რა საფუძვლით არ გასცემს ქობულეთის საკრებულო ღია ინფორმაციას.“ (სტილი დაცულია)

[6] .ქობულეთის საკრებულოს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის 2013 წლის 21 მარტის #01–66/339 წერილი.

[7] .ქობულეთის საკრებულოს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის 2013 წლის 24 ივნისის #01–66/849 წერილი.

3. მუნიციპალური ბიუჯეტის პრიორიტეტები და გადაწყვეტილებები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, 2012 წლის განმავლობაში, 31 დადგენილება და 272 განკარგულება მიიღო.[8] მონიტორინგის ფარგლებში, ყველა დადგენილებისა და განკარგულების შესწავლა მოხდა, რომლებიც მუნიციპალურ დონეზე, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს არეგულირებენ.

მონიტორინგმა ყურადღება დაუთმო ადგილობრივი თვითმმართველობაში **პროგრამული პროექტების განხორციელების, გამოცხადებული ტენდერების, საჯარო მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურებისა** და **პრემიების** გაცემის საკითხს.

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 მარტის #32 განკარგულება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ". დოკუმენტის თანახმად, შემოსავლებით, ტრანსფერებითა და ურთიერთანგარიშსწორებით მიღებული თანხების საშუალებით, სულ ბიუჯეტით გაწეულ იქნა **30.072,027 ლარის საკასო ხარჯი.** აღსანიშნავია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, 2012 წლის განმავლობაში, 8 სხვადასხვა დამაზუსტებელი ცვლილება განხორციელდა.[9] 2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით:

1. **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს მოხმარდა 3,307,219 ლარი, საერთო საბიუჯეტო ხარჯის 11%, წლიური დადგენილი თანხის ათვისებამ აღნიშნულ სფეროში შეადგინა 85 პროცენტი.**
2. **თავდაცვის სფეროს (სამხედო აღრიცხვისა და გაწვევის/მობილიზაციის სამსახური) მოხმარდა 115 149 ლარი. მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 0,4%, წლიური დაგეგმილი თანხის ათვისებამ აღნიშნულ სფეროში შეადგინა 95,3 პროცენტი.**
3. **საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს მოხმარდა 553,575 ლარი, მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 1,8 %, წლიური დაგეგმილი თანხის ათვისებამ აღნიშნულ სფეროში შეადგინა 99,6 პროცენტი.**
4. **ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სულ დაიხარჯა – 6,083,406 ლარი, მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 1,8%, წლიური დაგეგმილი თანხის ათვისებამ აღნიშნულ სფეროში შეადგინა 84,1 პროცენტი.**
5. **გარემოს დაცვის სფეროს ხარჯი შეადგინა 2,424,176 ლარი, რაც მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 8%–ია. წლიური დაგეგმილი 2475,892 ლარის ათვისებამ აღნიშნულ სფეროში შეადგინა 97,9 პროცენტი.**
6. **საბინაო კომუნალური მეურნეობის სფეროს მოხმარდა, სულ 13,328,574 ლარი. მთლიანი საბიუჯეტო ხარჯვის 44,3%. წლიური დაგეგმილი თანხის ათვისებამ აღნიშნულ სფეროში შეადგინა 97,3 პროცენტი.**
7. **ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მოხმარდა სულ 108413 ლარი, რაც მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 0,4 პროცენტია. წლიური დაგეგმილი თანხის 132966 ლარის ათვისებამ აღნიშნულ სფეროში შეადგინა 81,5 პროცენტი.**
8. **კულტურისა და სპორტის სფეროს მოხმარდა სულ საბიუჯეტო ხარჯების 4,9 პროცენტი და ხარჯმა სულ შეადგინა 1,479,805 ლარი, რაც გულისხმობს მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 4,9 პროცენტს.**
9. **განათლების სფეროს მოხმარდა, სულ 2,106.619 ლარი ანუ მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 7 პროცენტი. წლიური დაგეგმილი თანხის ათვისებამ აღნიშნულ სფეროში შეადგინა 96,7 პროცენტი. მათ შორის ა(ა)იპ ბაღების გაერთიანების ხარჯმა შეადგინა 793,726 ლარი დაგეგმილი**

---

[8] ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 21 იანვრის წერილი #01–66/73

[9] ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის დადგენილებები #1, #10, #16, #19, #22, #23, #24, #27, #30 (პერიოდი – იანვარი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, ნოემბერი, დეკემბერი)

თანხის 97,6%, სახელოვნებო სკოლამ აითვისა გეგმიური ტანხების 99,3%, სასპორტო სკოლამ 99% ანუ 152,057 ლარი.

10. სოციალურ სფეროში ხარჯი შეადგინა 565,091 ლარი, რაც ,მთლიანი საბიუჯეტო ხარჯების 1,9 პროცენტია, გეგმიური თანხების ათვისებამ სულ შეადგინა 86,9 პროცენტი.
11. შრომითი ანაზღაურების ხარჯმა შეადგინა 2,123,641 ლარი, მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 7%, გეგმის ათვისებამ შეადგინა 99,7 პროცენტი.

2012 წლის საკასო შესრულება – ქობულეთის მუნიციპალიტეტი

	მოქმედება	2012 წლის საკასო შესრულება
1	მომუშავეთა რიცხოვნება	232
2	ხარჯები	10021.843
3	შრომის ანაზღაურება	2123.641
4	საქონელი და მომსახურეობა	2890.486
5	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	13.937
6	მივლინებები	16.729
7	ოფისის ხარჯები	576.088
8	წარმომადგენლობითი ხარჯები	19.910
9	რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	35.705
10	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა–შენახვის ხარჯები	267.397
11	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	1960.720
12	პროცენტი	503.398
13	სუბსიდიები	3014.881
14	სოციალური უზრუნველყოფა	705.798
15	სხვა ხარჯები	783.639
16	არაფინანსური აქტივების ზრდა	19932.826
17	ვალდებულებების კლება	117.358

მუნიციპალიტეტის საკრებულო (მომუშავეთა რაოდენობა 25)

	მოქმედება	2012 წლის საკასო შესრულება
1	ხარჯები	571.041
2	შრომის ანაზღაურება	299.953
3	საქონელი და მომსახურეობა	116.798
4	მივლინებები	3.246
5	ოფისის ხარჯები	46.866
6	წარმომადგენლობითი ხარჯები	0.000
7	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა–შენახვის ხარჯები	54.731
8	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	11.955

მუნიციპალიტეტის გამგეობა (მომუშავეთა რაოდენობა 154)

	მოქმედება	2012 წლის საკასო შესრულება
1	ხარჯები	1,798,744
2	შრომის ანაზღაურება	1,377,588
3	საქონელი და მომსახურეობა	417,056

4	მივლინებები	10.488
5	ოფისის ხარჯები	151.179
6	წარმომადგენლობითი ხარჯები	8.490
7	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა–შენახვის ხარჯები	153.840
8	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	83.452

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახური
(მომუშავეთა რაოდენობა 23)

	მოქმედება	**2012 წლის საკასო შესრულება**
1	ხარჯები	505.034
2	შრომის ანაზღაურება	246.592
3	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	5.837
4	საქონელი და მომსახურეობა	255.342
5	მივლინებები	9.567
6	ოფისის ხარჯები	88.888
7	წარმომადგენლობითი ხარჯები	8.490
8	რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის შეძენის ხარჯები	1.000
9	ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა–შენახვის ხარჯები	71.180
10	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	70.380

მონიტორინგის განხორციელების ფარგლებში, აგრეთვე ყურადღება დაეთმო მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინასებულ შემდეგ პროექტებს/პროგრამებს

	დასახელება	**ბიუჯეტირება**
1	„მუნიციპალური სერვისის ხარისხის ამაღლება ქობულეთის მუნიციპალიტეტში“	120.108
2	ქუჩებისა და ქუჩებს შორის გადასასვლელის კეთილმოწყობა	609.857
3	მეგობრობის ქუჩის კეთილმოწყობა	164.905
4	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსათავსებელი საგზაო ნიშნების მონტაჟი	3.347
5	ქობულეთის მუნიციპალიტეტში სახიდე გადასასვლელების მოწყობა	20.326
6	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებისა და ავტომაგისტრალების რადარების მონტაჟი	34.140
7	სიჩქარის შემზღუდველი ბარიერის შეძენა–მონტაჟი	16.750
8	ქ. ქობულეთში ქუჩების მოშანდაკება	200.902
9	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული „სანიაღვრე არხების ექსპლუატაციის პროგრამა“	55.344
10	ქ. ქობულეთში კარიელის დასახლებაში სკვერის მშენებლობა და არსებული მინის ტადიონის რეაბილიტაცია	33.717

11	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში სკვერების მოწყობა, ფანჩატურების მოწყობა	33.717
12	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების მოასფალტება და ფილების დაგების სამუშაოები	1,056.528
13	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები	598.929
14	უკანონო მიშენებებისა და ჯიხურების დემონტაჟი	47.497
15	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის რემონტის ხარჯები	25.233
16	სადარბაზოების სანათების მოწყობა	19.136
17	ქალაქ ქობულეთში, სანაპირო ზოლში, ახალი საზოგადოებრივი საპირფარეშოების მშენებლობა	65.412
18	ქ. ქობულეთში, გელაურის დასახლებაში, ყოფილი ჩაის ფაბრიკის ტერიტორიის მოწესრიგება	13.980
19	ქ. ქობულეთში, ფიჭვნარის ტერიტორიაზე არსებული ტყე–პარკის ტერიტორიის მოწესრიგების სამუშაოები	57.762
20	მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების შენობის რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	687.904
21	საფეხბურთო საკლუბო გუნდის „შუქურას“ მხარდაჭერის პროგრამა	152.768
22	კულტურული ღონისძიებები	150.194
23	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების მედიკამენტოზური დახმარების პროგრამა	23.253
24	სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების პროგრამა	54.880
25	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამა	127.297
26	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველ მე–3 და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა	37.200
27	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამა	8.058
28	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმწეო გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარების პროგრამა	24.250
29	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი მატერიალური	155.658

	დახმარება	
30	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა	37.500
31	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დედ–მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა	9.000
32	ქობულეთის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილოს ბენეფიციართა სტომატოლოგიური საპროთეზო–ორთოპედიული დახმარების პროგრამა	17.9000
33	ერთჯერადი სოციალური დახმარება	50.000
34	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების პროგრამა	28.687
35	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სასურსათო მხარდაჭერის პროგრამა	48.248
36	მუნიციპალური უფასო სასადილოს შენობის რემონტი და ინვენტარით უზრუნველყოფა	21.293

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

	სფერო	ხარჯი
1	საჯარო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3189.861
2	თავდაცვა	115.149
3	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	553.575
4	ეკონომიკური საქმიანობა	6083.406
5	გარემოს დაცვა	2424.176
6	საბინაო–კომუნალური მეურნეობა	13328.574
7	ჯანმრთელობის დაცვა	108.413
8	დასვენება, კულტურა, რელიგია	1479.805
9	განათლება	2106.619
10	სოაციალური დაცვა	565.091
	სულ	29954.669

მონიტორინგის ფარგლებში, ყურადღება გამახვილდა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და მმართველობითი რგოლის საჯარო მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურებისა და მიღებული პრემიების საკითხზეც. ორგანიზაციისთვის მოწოდებული ინფორმაცია ასე გამოიყურება:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
1	გამგებელი	2650
2	გამგებლის მოადგილე	1300
3	გამგეობის სამსახურის უფროსი, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი, თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული	1000
4	გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი	810
5	გამგებლის თანაშემწე, უფროსი საჯარო თანამდებობის პირი	790
6	მთავარი სპეციალისტი, უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	560
7	წამყვანი სპეციალისტი, უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	530
8	ტერიტორიული ორგანოს წამყვანი სპეციალისტი, უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	460
9	ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი, უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	360
10	ჩაქვის სახანძრო ნაწილის უფროსი	810
11	დამხმარე მოსამსახურე, მძღოლი	500
12	დამხმარე მოსამსახურე, დამლაგებელი	460
13	ტექნიკური პერსონალი	460
14	ცვლის უფროსი	790
15	მეხანძრე, მეხანძრე მძღოლი	530

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	თანამდებობის დასახელება	**თანამდებობრივი სარგო (ლარებში)**
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1700
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1350
4	საკრებულოს აპარატის უფროსი	1000
5	მთავარი სპეციალისტი, უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	560
6	წამყვანი სპეციალისტი, უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი	530
7	დამხმარე მოსამსახურე, მძღოლი	500
8	დამხმარე მოსამსახურე, დამლაგებელი	460

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა პრემია 2012 წელს

	სახელი, გვარი	თანამდებობა	პრემია
1	ნიკო ბერაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	12980
2	ელგუჯა ბაგრატიონი	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე საკრებულოს თავმჯდომარე	6050 5010
3	ჯანსუღ ჯინჭარაძე	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2925
4	რევაზ კარალიძე	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	3900 2250
5	მალხაზ ცეცხლაძე	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5575
6	ალიკო კაკაბაძე	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5575
7	ჯანსუღ ჯინჭარაძე	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5575
8	დურმიშხან ინაიშვილი	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1675
9	ნუგზარ მჟავანაძე	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1675
10	თენგიზ მეგრელიძე	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	5575
11	მამუკა ქათამაძე	აპარატის უფროსი	5550
12	მერაბ ცინცაბაძე	მთ. სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	3570
13	სულხან ბეჟანიძე	მთ. სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	3080
14	მირანდა მეგრელიძე	წამყ. სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	2140
15	მანონი ვერულიძე	რეფერენტი	3560
16	დავით ართმელაძე	მთ. სპეციალისტი სოარგანიზაციო საკითხებში	2310
17	მირიან კომახიძე	მთ. სპეციალისტი სოარგანიზაციო საკითხებში	980
18	მაია გოგმაჩაძე	წამყ. სპეციალისტი სოარგანიზაციო საკითხებში	3400
19	ზურაბ ახალაძე	მთ. სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	3290
20	ილია ბაჟუნაიშვილი	წამყვ. სპეციალისტი მ/შ საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	3130
21	ინგა თხილაიშვილი	მთ. სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	3340
22	სოფიო ჯინჭარაძე	მთ. სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	3340
23	მზია ყულეჯიშვილი	მთ. სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	3560
24	ეკატერინე შევარდნაძე	წამყ. სპეციალისტი მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	3400
25	იამზე პაპუნაიშვილი	მთ. სპეციალისტი მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	3560
26	ოთარ ხალვაში	წამყ. სპეციალისტი მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	3130
27	ციცინო კაკალაძე	დალაგებელი	2905
28	სერგო კულიკოვსკი	მძღოლი	3760
	ჯამი		116770

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება 2012 წლის 25 ოქტომბერს მიიღო. ამავე თარიღითაა დადგენილი მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს გაზრდაც.[10] განხორციელებულ ცვლილებამდე მოქმედებდა 2012 წლის 24 მაისს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული

[10] ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დადგენილებები, #25, #26

დადგენილებები: #20 და #21, რომლებიც საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის, გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრავდნენ.

2012 წლის 25 ოქტომბრის ცვლილებით, საჯარო მოსამსახურეთა ხელფასები საგრძნობლად გაიზარდა. მაგალითად, საკრებულოს თავმჯდომარე, რომელის ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება შეადგენდა 2360 ლარს, ცვლილებების შედეგად ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება 2650 ლარი გახდა. მუნიციპალიტეტის გამგებელს 2360 ლარის ნაცვლად, 2650. შრომითი ანზღაურება გაეზარდათ საკრებულოს, საკრებულოს აპარატისა და გამგეობის თითქმის ყველა საჯარო მოსამსახურეს. სულ, საკრებულოს, საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო, 2012 წლის მანძილზე, უმნიშვნელოდ, მაგრამ 8–ჯერ მაინც შეიცვალა, თუმცა ყველაზე მოცულობითი ცვლილება განხორციელდა 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კი გავრცელდა 2012 წლის 1 ნოემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ქობულეთის მუნიციპლაიტეტის საკრებულოსა და გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურების გაზრდა პოლიტიკური გადაწყვეტულების შედეგად მოხდა. თვითმმართველი ქალაქის მერებს, გამგებლებს, საკრებულოს თავმჯდომარეებს, საკრებულოს აპარატსა და თანამშრომლებს, ხელფასები პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე გაეზარდათ. საქართველოს პრეზიდენტმა №945 ბრძანებულება 2012 წლის 12 ოქტომბერს გამოსცა, რომლითაც ცვლილება შევიდა მის მიერვე 2005 წლის 29 აგვისტოს „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ გამოცემულ №726 ბრძანებულებაში. პრეზიდენტის გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა საჯარო განცხადება, რომლის თანახმადაც, საპრეზიდენტო პარტია – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკურ ოპოზიციაში გადავიდა. პრეზიდენტმა გაითვალისწინა გარემოება, რომლის მიხედვითაც, ქვეყნის მასშტაბით, თვითმმართველობის ორგანოებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები იჭერდნენ. შესაბამისად, საკრებულოსა და გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურების საკითხი განაპირობა 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში საპრეზიდენტო პარტიის დამარცხებამ და პრეზიდენტის მიერ საკუთარი პარტიის წარმომადგენელთა და მხარდამჭერთა წახალისებამ (მიტივაციამ) ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში.

მონიტორინგი ყურადღებას უთმობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოცხადებული ტენდერების თემასაც, რომელიც მიგვაჩნია, რომ ცალკე შესწავლის საგანი უნდა გახდეს, რადგანაც ამ ეტაპზე, შეიძლება მხოლოდ აღინიშნოს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, 2012 წლის მანძილზე, 6–ჯერ მიიღო „2012 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა–განრიგში“ ცვლილებების გადაწყვეტილება.[11] მონიტორინგის ფარგლებში მიღებული მასალები ცხადყოფს, რომ ინფორმაცია არ შეიცავს შესყიდვებში მონაწილე კომპანიების ჩამონათვალს. შესაბამისად, უცნობია, ამ მიმართულებით, მუნიციპალურ დონეზე შესყიდვების გამჭვირვალობის საკითხი. საზოგადოების მაღალი ინტერესია არსებობდეს კონკურენტუნარიანი სატენდერო გარემო და დაცული იქნეს ღირებულების მიზნობრიობა და ხარისხი.

მონიტორინგის განხორციელების პროცესში, ყურადღება დაეთმო **2012 წლის 31 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2013 წლისთვის დამტკიცებულ პროგრამებს.** მონიტორინგი ადგილობრივი მოსახლეობის მაღალი ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიიჩნევს ჩამოითვალოს 2013 წლის მანძილზე, მუნიციპალურ დონეზე, უკვე მიმდინარე პროგრამები და ცნობილი გახდეს მათი ბიუჯეტირების ნაწილიც.

[11] ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის განკარგულებები #14, #19, #35, #65, #106, #121 (პერიოდი – თებერვალი, მარტი, აპრილი,მაისი, ივნისი, ივლისი)

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #270 განკარგულებით დამტკიცდა „სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამა“. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტად განისაზღვრა **82 320 (ოთხმოცდაორიათას სამას ოცი) ლარი.** პროგრამის შესრულების პერიოდი: 01.01.2013 – 31.12.2013
2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #271 განკარგულებით დამტკიცდა მიზნობრივი პროგრამა „ქრონიკულად პროგრესირებადი დავადებების მედიკამენტოზური დახმარება“. პროგრამის ბიუჯეტად განისაზღვრა: **60 000 (სამოცი) ათასი ლარი.** პროგრამა ითვალისწინებს ეპილეფსიით დაავადებული 180 ბენეფიციარების წლის განმავლობაში ყოველდღიურად მისაღები სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფას. პროგრამის შესრულების პერიოდი: 01.01.2013 – 31.12.2013
3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #272 განკარგულებით დამტკიცდა მიზნობრივი პროგრამა „ქობულეთის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილოს ბენეფიციართა სტომატოლოგიური საპროთეზო–ორთოპედიული დახმარება.“ პროგრამის ბიუჯეტად განისაზრვრა **30 000 (ოცდაათი) ათასი ლარი.** პროგრამის შესრულების პერიოდი: 01.01.2013 – 31.12.2013
4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #269 განკარგულებით დამტკიცდა „სოციალურად დაუცველი ფენებისთვის მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამა“. პროგრამის ბიუჯეტად განისაზღვრა **174 150 (ას სამოცდათოთხმეტი და ორმოცდაათი) ათასი ლარი.** პროგრამის შესრულების პერიოდი: 01.01.2013 – 31.12.2013. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 230 ბენეფიციარის ცხელი სკავებით უზრუნველყოფა კვირაში 7 დღეს.
5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #268 განკარგულებით დამტკიცდა „უმწეო გარდაცვლილის ოჯახებზე ერთჯერადი დახმარების პროგრამა“. პროგრამის ბიუჯეტად განისაზღვრა **41 500 (ორმოცდაერთი და ხუთასი) ათასი ლარი.** პროგრამა ითვალისწინებს ერთჯერად დახმარებას მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში, რომლებსაც არ გააჩნიათ ელემენტარული ხარჯები მიცვალებულთა დასამარხად. ასევე, უპატრონო გარდაცვლილი მოქალაქეები, რომლების დასაფლავება, ხშირ შემთხვევაში, ქმნის სერიოზულ პრობლემას. ერთ ოჯახზე გასაცემი თანხა შეადგენს 250 ლარს. პროგრამის შესრულების პერიოდი: 01.01.2013 – 31.12.2013.
6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #267 განკარგულებით დამტკიცდა „ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამა“ პროგრამის ბიუჯეტად განისაზღვრა **21 700 (ოცდაერთი და შვიდასი) ათასი ლარი.** პროგრამის მიზანია ომის ინვალიდების, ომში დაღუპულთა ოჯახების, ომების მონაწილეების, მათთან გათანაბრებული პირების და სამხედრო ძალების ვეტერანების სოციალური დაცვა, მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერა. პროგრამის შესრულების პერიოდი: 01.01.2013 – 31.12.2013.
7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #266 განკარგულებით დამტკიცდა „დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების პროგრამა“. პროგრამის ბიუჯეტად განისაზღვრა **54 790 ორმოცდათოთხმეტი და შვიდას ოთხმოცდაათი) ათასი ლარი.** პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტებისა და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების ხარჯების დაფარვას მათი საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით. პროგრამის შესრულების პერიოდი: 01.01.2013 – 31.12.2013.
8. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #265 განკარგულებით დამტკიცდა „დედ–მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა“. პროგრამის ბიუჯეტად განისაზღვრა **20 000 (ოცი) ათასი ლარი.** პროგრამის მიზანია, თითოეულ ასეთ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით, მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭრა. პროგრამის შესრულების პერიოდი: 01.01.2013 – 31.12.2013.

9. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #264 განკარგულებით დამტკიცდა „ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“. პროგრამის ბიუჯეტად განისაზღვრა **77 500 (სამოცდაჩვიდმეტი და ხუთასი) ათასი ლარი.** პროგრამის შესრულების პერიოდი: 01.01.2013 – 31.12.2013.
10. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #263 განკარგულებით დამტკიცდა „5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“. პროგრამის ბიუჯეტად განისაზღვრა **48 000 (ორმოცდარვა) ათასი ლარი.** პროგრამა ითვალისწინებს ასეთი ასაკის ბავშვებისთვის (18 წლამდე) ერთჯერად მატერიალურ დახმარებას 1000 ლარის ოდენობით, მათთვის მორალურ და მატერიალურ დახმარებას. პროგრამის შესრულების პერიოდი: 01.01.2013 – 31.12.2013.
11. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #262 განკარგულებით ცვლილებები შევიდა „გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების 2013 წლის ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულებაში და **22000 (ოცდაორი) ათასი ლარით** განისაზღვრა ახალგაზრდულ ღონისძიებათა ხელშეწყობის გეგმა. გეგმის შესრულების პერიოდი: 01.03.2013 – 31.12.2013
12. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #261 განკარგულებით დამტკიცდა „საფეხბურთო საკლუბო გუნდის „შუქურას“ მხარდაჭრის პროგრამა“. პროგრამის მთლიან ბიუჯეტად განისაზღვრა **823000 (რვაასოცდასამი) ათასი ლარი.** პროგრამის შესრულების პერიოდი: 01.01.2013 – 31.12.2013
13. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #260 განკარგულებით დამტკიცდა „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის სპორტის ღონისძიებების გეგმა“. გეგმის ბიუჯეტად განისაზღვრა **60 (სამოცი) ათასი ლარი.** პროგრამის შესრულების პერიოდი: 01.01.2013 – 31.12.2013
14. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #259 განკარგულებით დამტკიცდა „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის კულტურის ღონისძიებების გეგმა“. გეგმის ბიუჯეტად განისაზღვრა **62 (სამოცდაორი) ათასი ლარი.** პროგრამის შესრულების პერიოდი: 01.01.2013 – 31.12.2013
15. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #258 განკარგულებით დამტკიცდა „ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხებისა და სანიაღვრე ჭების მიმდინარე ექსპლუატაციის (მოვლა–პატრონობა) მიზნობრივი პროგრამა“. პროგრამის ბიუჯეტად განისაზღვრა **80 000 (ოთხმოცი) ათასი ლარი, ხოლო** საკრებულოს 2013 წლის 23 იანვრის #02 განკარგულებით, ცვლილებები განიცადა პროგრამის ბიუჯეტირებამ და შეადგინა **92 052 (ოთხმოცდათორმეტი) ათასი ლარი.** პროგრამის მიზნებია: ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე კანალიზაციის მიმდინარე ექსპლუატაცია, სანიაღვრე წყლების გზის სავალი ნაწილიდან მოშორება, სისტემატიური კონტროლი, სანიაღვრე ჭების მიმდინარე ექსპლუატაციის სრულყოფილი მონიტორინგის უზრუნველყოფა. პროგრამის შესრულების პერიოდი: 01.01.2013 – 31.12.2013
16. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #257 განკარგულებით დამტკიცდა „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის სოფლების წყალსადენის სისტემების მოვლა–შენახვის მიზნობრივი პროგრამა“. პროგრამის ბიუჯეტად **განისაზღვრა 26 900 (ოცდაექვსი და ცხრაასი) ათასი ლარი.** პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში შემავალი ყველა სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი ხარისხიანი წყლით. პროგრამის შესრულების პერიოდი: 01.01.2013 – 31.12.2013
17. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის #256 განკარგულებით დამტკიცდა „ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა–განრიგი“. სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ჯამური თანხა დაფინანსების წყაროს შესაბამსიად შეადგინა **7118632 ლარი.** განხორციელების პერიოდი: 01.01.2013 – 31.12.2013

4. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის საკითხი

ორგანიზაციამ მონიტორინგის განხორციელების პროცესში ყურადღება დაუთმო ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის საკითხს და საკრებულოს გადაწყვეტილებებს, ამ მიმართულებით არსებულ შემთხვევებზე. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის მე–5 მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპები თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობა და თანამდებობის პირთა მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულებაა, ქობულეთის საკრებულოს დებულების მიხედვით კი, საკრებულოს წევრი თავისი მოვალეობის შესრულებისას, არ არის შეზღუდული ამომრჩევლებისა და მისი წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანებების განაწესებითა და დავალებებით. შესაბამისად, კანონმდებლობა თვითმმართველობის ორგანოს და საკრებულოს წევრებს მოქალაქეებთან ანგარიშვალდებულებას პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვით ავალდებულებს, რაც საკრებულოს საქმიანობის ძირითადი პრინციპების კანონიერების, საჯაროობის, დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის, მოსახლეობის აზრის გათვალისწინებისა და ანგარიშვალდებულების განხორციელებისთვის სათანადო გარემოს ქმნის[12], თუმცა კანონმდებლობით, ასევე, არ არის აკრძალული, თუკი „საკრებულოს წევრი იმავდროულად შეიძლება ეწეოდეს პარტიულ საქმიანობას და ეკავოს ნებისმიერი პარტიული თანამდებობა.“[13] ამ შემთხვევისთვის, ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებზე, რომლის თანახმადაც, ადგილობრივი თვითმმართველობები, მნიშვნელოვანია ინარჩუნებდნენ პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს, როდესაც საქმე ეხება მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, პოლიტიკური დისკრიმინაციის გარეშე მათი დარღვეული უფლებების დაცვას და გადაწყვეტილებების მიღების დროს მოქალაქის ინტერესის გათვალისწინებას.

ქობულეთის საკრებულოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის საკითხი 2012 წლის 18 ივლისს დადგა, რა დროსაც საკრებულოს წევრის, **თემურ ჯინჭარაძის** გადაწყვეტილებების მიმართ გაჩნდა კანონიერი ეჭვი და უნდობლობა. მონიტორინგის განხორციელების პროცესში დადგინდა, რომ ქობულეთის საკრებულოს წევრმა, თემურ ჯინჭარაძემ, 2012 წლის 2 და 4 ივლისს, სათათბირო ხმის უფლებით, მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯ „ახალი ტალღის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებში[14] და ხელმოწერით მხარდაჭერა გამოხატა პროფესიული სასწავლებლის დირექტორის მიერ 2012 წლის 18 და 19 ივნისს #34 და #36 ბრძანებების კანონიერების მიმართ, რომლითაც თანამდებობიდან იქნა გათავისუფლებული სასწავლებლის დირექტორის მოადგილე თამარ კაიკაციშვილი.

მასალებიდან ჩანს, რომ თამარ კაიკაციშვილის კანონიერმა წარმომადგენელმა, სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანებები შეაფასა უკანონო გადაწყვეტილებად, პოლიტიკური ნიშნით, მოადგილის არასაიმედოობის გამო თანამდებობიდან დათხოვნის ფაქტი, რაც მოგვიანებით დაადასტურა კიდეც ბათუმის საქალაქო სასამართლომ და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებებმა[15].

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ თემურ ჯინჭარაძე, პროფესიული სასწავლებლის წესდების მე–9, მე–10 მუხლების თანახმად, დღემდე წარმოადგენს კოლეჯის მმართველობითი ორგანოს – სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, ხოლო საკრებულოს დეპუტატის მიმართ, 2012 წლის 18 ივლისს გაგზავნილ წერილში, თამარ კაიკაციშვილმა საკრებულოს წევრის მიერ კოლეჯის სამეთვალყურეო

[12] ქობულეთის საკრებულოს დებულება, მუხლი 1, პუნქტი 8

[13] ქობულეთის საკრებულოს დებულება, მუხლი 8, პუნქტი 4

[14] სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯ „ახალი ტალღის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2012 წლის 2 და 4 ივლისის ოქმები #3, #4

[15] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება.

საბჭოში მიღებულ გადაწყვეტილებები, საკრებულოს წევრის მხრიდან თვითმმართველობის ორგანოს რეგლამენტის დარღვევად, უფლებამოსილების გადამეტებად და საქმის ყოველმხრივ და სრულყოფილი შესწავლის გარეშე, ადმინისტრაციული კანონმდებლობის დარღვევად შეაფასა. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ქობულეთის საკრებულოს წევრის გადაწყვეტილებების შესაძლო მართლზომიერებაზე დავა არ გაგრძელებულა სასამართლო წესით, თუმცა მხარის განმარტებით, ეს გამოწვეულია თვითმმართველობის ორგანოს მიმართ საადვოკატო სტრატეგიის იმ ხარისხით, რა დროსაც მნიშვნელოვანი საჯარო ყურადღება უნდა დათმობოდა არჩეული თვითმმართველობის ორგანოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის საკითხს და თვითმმართველობის მხრიდან მოქალაქის, საზოგადოების მიმართ დამოკიდებულების საჯაროობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის კანონით დადგენილ მორალურ საფუძვლებს. მონიტორინგმა ცხადყო, რომ ამ მიმართულებით, ქობულეთის საკრებულოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის თვასაჩინოებისთვის არსებობს საკმარისი ფაქტობრივი მასალა, ხოლო ქობულეთის საკრებულოსგან გასხვავებით, საკრებულოს წევრი თემურ ჯინჭარაძე არ გამოხმაურებია მის მიმართ 2012 წლის 18 ივლისს გაგზავნილ წერილს და არ შემდგარა დეპუტატის შეხვედრა თამარ კაიკაციშვილთან წარდგენილი პრეტენზიის დადგენის მიზნით, რაც იქნებოდა თვითმმართველობის წევრისთვის კანონით მინიჭებული, ანგარიშვალდებულების პრინციპის განხორციელების საუკეთესო მაგალითი.

მონიტორინგის შედეგად დადგენილია, რომ 2010 წლის 30 მაისს, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, საკრებულო შედგა პარტიული სიის მიხედვით, 10 წევრით, ხოლო მაჟორიტარული წესით – 20 წევრით.[16] ქობულეთის საკრებულოს 2013 წლის 21 იანვრის მონაცემებით,[17] ქობულეთის საკრებულო პარტიული კუთვნილებით შემდეგი შემადგენლობით გადანაწილდა:

№	სახელი, გვარი		პარტიულობა
1	ნარგიზ ბაღიშვილი	პროპორციული	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
2	ლევან ხინიკაძე	პროპორციული	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
3	გოდერძი პაპუნაიშვილი	პროპორციული	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
4	ნარგიზ ჯინჭარაძე	პროპორციული	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
5	რევაზ კარალიძე	პროპორციული	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
6	ავთანდილ გორგილაძე	პროპორციული	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
7	ნუგზარ კაკალაძე	პროპორციული	ეროვნული საბჭო
8	მალხაზ რომანაძე	პროპორციული	ქრისტიან დემოკრატები
9	ივერი გუგუნავა	პროპორციული	ალიანსი საქართველოსთვის
10	ლევან ცხომელიძე	პროპორციული	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
11	ელგუჯა ბაგრატიონი	მაჟორიტარი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
12	მალხაზ ცეცხლაძე	მაჟორიტარი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
13	ავთანდილ ზოიძე	მაჟორიტარი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
14	რევაზ ბოლქვაძე	მაჟორიტარი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
15	ავთანდილ ხაბაზი	მაჟორიტარი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
16	მერაბ ქათამაძე	მაჟორიტარი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
17	დურმიშხან ინაიშვილი	მაჟორიტარი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

[16] ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 ივნისის განკარგულება #40
[17] ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 21 იანვრის #01–66/73 წერილი

18	თემურ ჯინჭარაძე	მაჟორიტარი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
19	ჯანსუღ ჯინჭარაძე	მაჟორიტარი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
20	ნიკო ბერაძე	მაჟორიტარი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
21	ალიკო კაკაბაძე	მაჟორიტარი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
22	თენგიზ მეგრელიძე	მაჟორიტარი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
23	ავთანდილ გორგილაძე	მაჟორიტარი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
24	ზურაბ ფალავანდიშვილი	მაჟორიტარი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
25	ნუგზარ მჟავანაძე	მაჟორიტარი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
26	მალხაზ რომანაძე	მაჟორიტარი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
27	როსტომ დოლიძე	მაჟორიტარი	მრეწველები
28	ალექსანდრე ყურშუბაძე	მაჟორიტარი	მრეწველები

მონიტორინგის განხორციელების შედეგად, შესწავლილ იქნა ქობულეთის საკრებულოს გადაწყვეტილებები თამარ კაიკაციშვილის საქმეზე. სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ყოფილი მოადგილის მოთხოვნებს, თვითმმართველობის ორგანოსთან ურთიერთობის მანძილზე, წარმოადგენდა:

1. ქობულეთის საკრებულოს წევრ თემურ ჯინჭარაძეს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მოემზადებინა და საკრებულოსთვის წარედგინა დეტალური ანგარიში სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯში 2012 წლის 2 და 4 ივლისს გამართული რიგგარეშე სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე მისი თანამონაწილეობისა და დირექტორის #34 და #36 ბრძანებების კანონიერებისა და მართლზომიერების შეფასების ნაწილში. დეპუტატს დაესაბუთებინა სხდომაზე გაცემული მხარდაჭერა და შესაბამისად, საკრებულოს მიმართ წარდგენილი ანგარიშის ობიექტურობა.

2. ქობულეთის საკრებულოს წევრ თემურ ჯინჭარაძეს თავისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში, მოემზადებინა მოხსენება საკრებულოს სხდომაზე და საჯარო გაეხადა თამარ კაიკაციშვილის მიერ 2012 წლის 18 ივლისს გაგზავნილი წერილის შინაარსი

3. ქობულეთის საკრებულოს საკუთარი წევრის მიმართ გამოთქმული ბრალდებების გამო, შეექმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი, ვინაიდან დეპუტატის მონაწილეობა სასწავლებლის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაში და კოლეჯში მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ უპირობო მხარდაჭერა, წარმოადგენდა საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულ იმ ცალკეულ საკითხთა რიგს მიკუთვნებულ განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომლის მიმართაც არსებობდა უნდობლობის მაღალი საზოგადოებრივი ხარისხი.

4. ქობულეთის საკრებულოში შექმნილ სამუშაო ჯგუფს წარმოედგინა წერილობით დასკვნა, რათა, შეფასებულიყო საკრებულოს წევრის მხრიდან მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერების საკითხი.

5. ქობულეთის საკრებულოს ემსჯელა თემურ ჯინჭარაძის უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, მხედველობაში მიეღო საქმის საერთო სირთულისთვის სასამართლო გადაწყვეტილებები და შესაძლო გადამეტების დადასტურების შემთხვევაში, მიეღო კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

6. ქობულეთის საკრებულოს მიეღო განმარტება, თუ რა მოტივით არ მოახდინა თვითმმართველობის ორგანოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ თემურ ჯინჭარაძის უფლებამოსილების გადამატების საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა – არასაკმარისი მტკიცებულებების გამო თუ საკითხის მიმართ შერჩევითი დამოკიდებულებით.

7. დამატებით, რა ფაქტებსა და დოკუმენტებს საჭიროებდა ქობულეთის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია იმისთვის, რომ საკრებულოს წევრ თემურ ჯინჭარაძის უფლებამოსილების საკითხი საკრებულოს სხდომაზე გატანილიყო.

8. რატომ არ გაემიჯნა ქობულეთის საკრებულო მთავარი სპეციალისტის იურიდიულ საკითხებში, მერაბ ცინცაბაძის შეხედულებებს, რომლითაც გამოითქვა მოსაზრება, რომ დეპუტატ თემურ ჯინჭარაძის საკითხზე საკრებულო შეგნებულად არ იმსჯელებდა, თამარ კაიკაციშვილის კანონიერი წარმომადგენლის ყველა წერილობითი განცხადება კი იქნებოდა ღია კარის მტვრევის პოლიტიკა.

მონიტორინგის განხორციელების პროცესში დადასტურდა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, 2012 წლის 8 აგვისტოს, თავისი პირველი წერილობითი პასუხით, უარი თქვა საკრებულოს წევრის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვაზე.[18] საკრებულოს პოზიციით, „თემურ ჯინჭარაძის ქმედებებში, დაკავშირებულს 2012 წლის 2 და 4 ივლისს სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღას“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაში და სხდომის გადაწყვეტილებაში მონაწილეობის მიღებაში არ იკვეთება თემურ ჯინჭარაძის, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების გადამეტების საკითხი. აქედან გამომდინარე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ვერ განიხილავს თემურ ჯინჭარაძის დისციპლინარულ პასუხისმგებლობის საკითხს“ (სტილი დაცულია), რა დროსაც ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ საკრებულო დასმული მოთხოვნის შესწავლისა და გამოკვლევის გარეშე, აპრიორში მიუთითებს დეპუტატის საკითხზე მსჯელობაზე უარს, მაშინ, როდესაც განხილვაზე უარის დასაბუთება რომელიმე ნორმატიული დოკუმენტის საფუძველზე უნდა მომხდარიყო.

ორგანიზაცია შენიშნავს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, დაცვის მხარის წერილობითი არგუმენტაციის საფუძველზე, ფურმალურად, მაგრამ თემურ ჯინჭარაძის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა მაინც მოუწია. 2012 წლის 29 ნოემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ სხდომაზე ერთადერთ საკითხად თამარ კაიკაციშვილის პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების პროცესში დეპუტატის მოქმედებების მართლზომიერების დადგენა განიხილა.[19]

მონიტორინგი შენიშნავს, რომ კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ზურაბ ფალავანდიშვილი („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ავთანდილ გორგილაძე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ალექსანდრე ყურშუბაძე („მრეწველები“),[20] საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში მერაბ ცინცაბაძე[21] („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა საქართველოს გამთლიანებისა და

[18] ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 8 აგვისტო #01–27/1196 წერილი

[19] ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2012 წლის 29 ნოემბრის სხდომის #19 ოქმი.

[20] საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2012 წლის 29 ნოემბრის სხდომას არ ესწრებოდა კომისიის ერთ–ერთი წევრი გოდერძი პაპუნაშვილი („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“).

[21] მერაბ ცინცაბაძე, საარჩევნო სუბიექტის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“ წარმომადგენელი 2012 წლის 1 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის, აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, №81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისია.

აღმშენებლობის სია“[22] თავმჯდომარე თენგიზ მეგრელიძე და თავად დეპუტატი თემურ ჯინჭარაძე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“). სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ალიკო კაკაბაძე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“).

სხდომაზე მოისმინეს საკრებულოს წევრის თემურ ჯინჭარაძის ინფორმაცია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღას“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაში მონაწილეობის შესახებ, რომელმაც განმარტა, რომ სხდომაზე სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღას“ დირექტორმა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტები და ფაქტობრივად და სამართლებრივად დაასაბუთა აქტების მიღების აუცილებლობა.[23] შეკრებაზე აზრი გამოთქვა ავთანდილ გორგილაძემ („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) და სხდომას განუმარტა, რომ დეპუტატი თემურ ჯინჭარაძე წარმოადგენს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღას“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრს. როგორც წევრს, მას უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო საბჭოს სხდომაში, ხმის მიცემის უფლებით. აღნიშნული ქმედებით დეპუტატს არ გადაუჭარბებია კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებისთვის. გარდა ამისა, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯ „ახალი ტალღას“ წესდების შესაბამისად, დირექტორი უფლებამოსილია, შრომითი ურთიერთობები შეწყვიტოს დამსაქმებელთან ერთპიროვნულად, ხოლო მისი ქმედების შეფასებით, საბჭოს მიერ არ შელახულა დასაქმებულის ინტერესები, ვინაიდან ასეთი შეფასება არ იწვევს რაიმე იურიდიულ შედეგს (სტილი დაცულია).[24] მონიტორინგი შენიშნავს, რომ აღნიშნული საკითხის ირგვლივ, კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ ყოფილა, ხოლო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, თემურ ჯინჭარაძის პასუხისმგებლობის საკითხი არ განხილულიყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

მონიტორინგი ქობულეთის საკრებულოს მხრიდან საქმისწარმოების პროცესში, ყურადღებას მიაქცევს ქობულეთის საკრებულოს თავმჯდომარის მიმართ, 2013 წლის 16 იანვარს მომზადებული წერილის შინაარს, რომლის თანახმადაც გასაჯაროებულია ქობულეთის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხებში მთავარი სპეციალისტის, მერაბ ცინცაბაძის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) პოზიცია თამარ კაიკაციშვილის კანონიერ წარმომადგენელთან დიალოგის დროს. ადვოკატი საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართავს და მოითხოვს თვითმმართველობის ორგანომ განმარტოს საკუთარი თანამშრომლის, მერაბ ცინცაბაძის შემდეგი დამოკიდებულება, რომელიც ოფიციალურ წერილში შემდეგი ფორმითაა გადმოცემული: „ა) ბატონი ცინცაბაძე შეწუხებულია, თუ რით ვერ დასრულდა საკრებულოს წევრის პასუხისმგებლობის საკითხზე მხარის წერილობითი მომართვები; ბ) ბატონმა ცინცაბაძემ გადმომცა, რომ აზრი არ ჰქონდა მხარის აქტიურობას, საკრებულოსგან სასურველ პასუხს მაინც ვერ მივიღებდით; გ) ბატონმა ცინცაბაძემ განაცხადა, რომ მისთვის აუხსნელია, საერთოდ, რა ბრალი მიუძღვის ბატონ ჯინჭარაძეს სამეთვალყურეო საბჭოში თამარ კაიკაციშვილის საკითხის მიმართ; რაში მდგომარეობს მისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი; დ) ბატონმა ცინცაბაძემ აღნიშნა, რომ არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდეს მხარეს, რომ საკითხი განხილვას დაექვემდებარება“ (სტილი დაცულია).[25]

მონიტორინგი შენიშნავს, რომ ქობულეთის საკრებულო, თამარ კაიკაციშვილის კანონიერი წარმომადგენლის არაერთი წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად, არ გაემიჯნა საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხებში მთავარი სპეციალისტის, მერაბ ცინცაბაძის პოზიციას, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ საკრებულომ ამჟამად ღიად გაიზიარა მოქალაქესთან დამოკიდებულების ის

[22] ქობულეთის საკრებულოში რეგისტრირებულია ორი ფრაქცია: „გამარჯვებული ქობულეთი“ და „ნაციონალური მოძრაობა საქართველოს გამთლიანებისა და აღმშენებლობის სია“.

[23] ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2012 წლის 29 ნოემბრის სხდომის #19 ოქმი.

[24] ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2012 წლის 29 ნოემბრის სხდომის #19 ოქმი.

[25] თამარ კაიკაციშვილის კანონიერი წარმომადგენლის მიმართვა ქობულეთის საკრებულოს თავმჯდომარეს, 16 იანვარი, 2013

ხარისხი, რომელიც საქმის განხილვის დასაწყისიდან არსებობდა. 2013 წლის 6 თებერვლის საკრებულოს აპარატის უფროსის წერილში მხოლოდ ის აღინიშნა, რომ „განცხადებაში მოყვანილი ფაქტები და აქედან გამომდინარე, შეკითხვებიც მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლის მ. ცინცაბაძის მიმართ, მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძვლებს“[26], თუმცა მონიტორინგი შენიშნავს, რომ საკრებულოს აპარატი დაუსაბუთებელს უწოდებს საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხებში მთავარი სპეციალისტის შეხედულებების მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებს, რა მომენტისთვისაც, ადგილზე, უშუალოდ იმყოფებოდნენ მოწმეები და მოსაზრებები უშუალოდ გამოითქვა თამარ კაიკაციშვილის კანონიერ წარმომადგენელთან დაუგეგმავი და შემთხვევითი შეხვედრის დროს, მერაბ ცინცაბაძის მხრიდან თამარ კაიკაციშვილის კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი იდენტიფიცირების გარეშე. ამასთან, საკრებულოს აპარატის უფროსი, ადვოკატის მიმართ იმავე წერილით განმარტავს, რომ „თქვენ მიიღეთ ყველა განცხადებაზე პასუხი, ვინაიდან თქვენი განცხადებები არის ერთიდაიგივე შინაარსის, განმეორების შემთხვევაში, თქვენი განცხადებები დარჩება განუხილველი“, რაც შეიძლება შეფასდეს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოქალაქეების შესაძლებლობის/უფლების შეზღუდვაზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37–ე, მე–40 მუხლების უხეში დარღვევის მცდელობად.[27]

ორგანიზაციამ მონიტორინგის განხორციელების პროცესში ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან საჯარო ინფორმაციის სახით გამოითხოვა საკრებულოს წევრის თემურ ჯინჭარაძის მუნიციპალურ დონეზე საქმიანობის სტატისტიკა და შეეცადა წარმოეჩინა დეპუტატის ანგარიშვალდებულების საკითხი ადგილობრივი ამომრჩევლის წინაშე. ქობულეთის საკრებულოს 2013 წლის 21 იანვრის წერილის თანახმად,[28] 2012 წლის განმავლობაში, საკრებულომ მიიღო 31 დადგენილება და 272 განკარგულება. აქედან საკრებულოს წევრმა თემურ ჯინჭარაძემ მონაწილეობა მიიღო 18 დადგენილებისა და 128 განკარგულების დამტკიცებაში. უცნობია, რა მიზეზითა და გარემოებებით არ შეასრულა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება თემურ ჯინჭარაძემ 13 დადგენილებისა და 144 განკარგულების მიღებაში.

მონიტორინგით დადასტურებულია, რომ თემურ ჯინჭარაძემ, 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით, უნაღდო ანგარიშსწორების სახით მიიღო 6000 (ექვსი) ათასი ლარი. (ყოველთვიურად 500 ლარი). ამასთან, „საკრებულოს წევრი დეპუტატობის კანდიდატად წარდგენილი იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ, არჩევის დროს ის გახლდათ უპარტიო, 2013 წლის 21 იანვრის მდგომარეობით, ის არის უპარტიო“ (სტილი დაცულია). ორგანიზაცია შენიშნავს, რომ თამარ კაიკაციშვილის საქმეზე მაღალი სამოქალაქო/ჟურნალისტური ინტერესის გამო, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ფორმალური პოლიტიკური ნეიტრალიტეტი დაცვა, რაც გამოიხატა საკრებულოს წევრის თემურ ჯინჭარაძის უპარტიოდ დასახელებით. თვითმმართველობის ორგანო იძულებული გახდა, რომ ოფიციალურად დაედასტურებინა თემურ ჯინჭარაძის პარტიული რიგებიდან ამორიცხვის ფაქტი. საკრებულომ მის მიმართ მოიხსნა ვალდებულებები და დეპუტატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრობიდან ამოიღეს, თუმცა ქობულეთის საკრებულოს თავმჯდომარემ არ გამოიჩინა სათანადო პასუხისმგებლობა, თამარ კაიკაციშვილის საქმეში თვითმმართველობის ორგანოს მიუკერძოებელი და ობიექტური შეფასება მოეხდინა.

---

[26] ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2013 წლის 6 თებერვლის წერილი #01–27/151

[27] „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2013 წლის 16 აპრილს, ქ. ბათუმში, სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს, თემაზე: „ქობულეთის საკრებულოს თავმჯდომარე საკრებულოს წევრის უკანონო მოქმედებებს მფარველობს“.

[28] ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლი 21 იანვარის წერილი, #01–66/73

5. ორგანიზაციის დასკვნა

ორგანიზაცია მონიტორინგის განხორციელების პროცესში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხრიდან განხორციელებული პროექტების საჭიროების მნიშვნელობაზე საუბრობს, თუმცა ყურადღებას მიაქცევს 2012 წლის ბიუჯეტის შედგენის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის სიმწირეზე. მუნიციპალიტეტში, 2012 წლის მანძილზე განხორციელებული პროექტები/პროგრამები მნიშვნელოვანია, თუმცა აუცილებელია საჯარო გახდეს სფეროს/პრობლემის ბიუჯეტირების საკითხი და ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეების გადაწყვეტილებების პროცესში ჩართული აღმოჩნდეს ადგილობრივი საზოგადოება. ამ მიმართულებით, ყურადღებას მოითხოვს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის **მიზნობრიობა** და **გამჭვირვალობა,** რომელიც, შესაძლებელია, განკუთვნილია საჭირო პროგრამის უზრუნველსაყოფად, მაგრამ **ხარჯვითი ნაწილის კანონიერება ცალკე შესწავლის საგანია.** ადგილობრივი მთავრობა მიმართავს პრობლემური საკითხების პროგრამირების პროცესს, თუმცა განხორციელების პროცესში, არ არსებობს ეფექტური მექანიზმი, რითაც ფინანსური გამჭვირვალობა მაღალი საზოგადოებრივი ნდობით ისარგებლებდა. მართალია, 2012 წლის 17 იანვრის ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #2 განკარგულებით შეიქმნა საზოგადოებრივი დარბაზი, ასეთი ინსტიტუტის გაჩენა წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობაში მოქმედი საზოგადოებრივი დარბაზი ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დამოუკიდებელი ფუნქციის შესრულებას და მუნიციპალურ პოლიტიკაში რეალური გავლენის ჩამოყალიბებას, თვითმმართველი ქალაქის მმართველობითი რგოლის ეფექტურ კონტროლს. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მიზნობრიობა მთავარი საკითხია, რომელიც საზოგადოების მონაწილეობის გარეშე არ უნდა ხორციელდებოდეს. სამწუხაროდ, ადგილობრივი თვითმმართველობა ბიუჯეტის შედგენის პროცესში, პრიორიტეტების განსაზღვრის დროს, ნაკლებად ითვალისწინებს ადგილობრივი ამომრჩევლების ინტერესებს, საჭიროებებს და გამართლებული არ არის, ადგილობრივი ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი მიმართული იყოს მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე და ნაკლები ყურადღება ეთმობოდეს მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოგვარებას. ამასთან, მონიტორინგის განხორციელების პროცესში, აშკარაა დისკრიმინაციული მიდგომები ქალაქად და სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ინტერესების დაკმაყოფილების მიმართ. ერთადერთი, „სოფლის დახმარების პროგრამა“, ვერ უზრუნველყოფს სოფლად მაცხოვრებელთა ინტერესების დაკმაყოფილებას. არ არსებობს კონკრეტული მიდგომები, რომელიც სოფლის გაძლიერებისა და წახალისების მაგალითებს უზრუნველყოფდა. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში, გზის დაგებისა და მოწესრიგების საკითხები კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება, რომლისთვისაც, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, 2012 წლის მანძილზე, ყურადღება არ მიუქცევია. **მიგვაჩნია, რომ ბიუჯეტის მიერ ადმინისტრაციული ხარჯები, ოფისის ხარჯები, მივლინებებსა და პრემიების სახით გაღებული ფინანსები მოითხოვს გადახედვას და არ პასუხობს საზოგადოებრივ ინტერესს. შრომითი ანაზღაურების ნაწილში ყურადრებას იპყრობს შტატგარეშე მოსამსახურეების ანაზღაურებაც**, პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე გაზრდილი სახელფასო სარგო. ორგანიზაციის პოზიცაა, შეფასდეს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დროს ბიუჯეტიდან გაღებული თანხების საჭიროებებთან შესაბამისობა და ამ მიმართულებით, ზოგიერთი პროექტის შესრულების გამჭვირვალობა. ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტს, ადგილობრივ მთავრობას არავითარი ქმედითი გადაწყვეტილებისთვის არ მიუმართავს მუნიციპალიტეტში, 2012 წლის ერთ–ერთი ყველაზე მწვავე საკითხის გადაწყვეტისთვის, როდესაც საჯაროდ გახდა ცნობილი მუნიციპალიტეტში, 300–მდე ოჯახის მდგომარეობის შესახებ. კერძოდ, დღის წესრიგში დადგა ოჯახების იპოთეკური დავალიანების გამო, ოჯახების გამოსახლებისა და მათდამი მზრუნველობის საკითხი. ადგილობრივ თვითმმართველობას მონაწილეობა არ მიუღია პრობლემის დარეგულირების საკითხში, რაც მიუთითეთებს გარემოებაზე, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივი ბიუჯეტისთვის და ადგილობრივი მთავრობისთვის, დაზარალებული მოსახლეობის ინეტრესები პრიორიტეტული არ ყოფილა.

მონიტორინგის განხორციელების პროცესში, 2012 წლის ბიუჯეტის შეფასების დროს, ყურადღებას იპყრობს საკითხები, რომლის მიმართაც, თვითმმართველობას ყურადღება არ გამოუჩენია, ხოლო მათი

საჭიროება დასაბუთებული შეიძლება აღმოჩნდეს ადგილობრივი სოციალური ჯგუფების მოთხოვილებებითა და აუცილებლობებით:

1. მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობის გაძლიერებისა და წახალისების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეთნიკური უმცირესობების დაცვისა და მათი ინტეგრირების პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილნაცვალი პირების პირობების გაუმჯობესების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ხანდაზმული ადამიანების სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
5. იპოთეკური დავალიანების მქონე მოსახლეობის ერთჯერადი დახმარების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
6. მუნიციპალიტეტში მცხოვრები წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის სპეციალური პროგრამის შექმნის საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
7. მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების ერთჯერადი საზაფხულო დასაქმების პროგრამის ამოქმედების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
8. მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სისტემის გაძლიერებისა და მოტივირების სპეციალური პროგრამის ამოქმედების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება და სახელობითი სტიპენდიების დაწესება წარმატებული ქობულეთელი პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვის და სტუდენტებისათვის
9. მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის, უფასო სამედიცინო დიაგნოსტიკის სპეციალური პროგრამის ამოქმედების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება და წამყვანი ქართული სამედიცინო კლინიკის სპეციალისტების მოწვევა
10. სოფლად საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
11. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის პარკინგის განახლების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება.
12. მუნიციპალიტეტის სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის გაზიფიკაციის საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
13. მუნიციპალიტეტში დაცული ტერიტორიებისა და ნაკრძალების განვითარებისა და ტურისტული მიმზიდველობის შესახებ სპეციალური პროგრამის ამოქმედების პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება.
14. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რელიგიური ნაგეობებობის რესტავრაციისა და ხელშეწყობის სპეციალური პროგრამის ამოქმედების პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება.
15. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებისა და ნაგებობების რეაბილიტაციის საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება

მუნიციპალური ბიუჯეტის მომზადება ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, რომელიც ცალმხრივად არ უნდა იქნეს აღებული. ბიუჯეტის მომზადების პროცესში პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ადგილობრივმა სამოქალაქო ჯგუფებმა და მოქალაქეებმაც. სხვადასხვა პროგრამებს/პროექტებს შორის არჩევანი რეალური საჭიროებების მიხედვით უნდა გაკეთდეს. ბიუჯეტის მომზადებაში აქტიურად უნდა იქნეს მოწვეული დარგის სპეციალისტები, აუდიტორები, ფინანსისტები და ეკონომისტები, რათა სათანადოდ შეფასდეს ბიუჯეტის რისკები და გამოწვევები. ბიუჯეტმა, ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებების, რაც შეიძლება ზედმიწევნით ობიექტური სურათი უნდა ასახოს. ევროსაბჭოს მოთხოვნებიც „ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე საფინანსო და საბიუჯეტო

მართვის თაობაზე“[29] მიუთითებს აუცილებლობაზე, რომლის თანახმადაც, „სადაც შესაძლებელია, შუალედური დებატები უნდა გაიმართოს ბიუჯეტის განხორციელებასთან დაკავშირებით, ბიუჯეტში ცვლილებების პერსპექტივების, ეკონომიკაში, საბიუჯეტო და სოციალურ კონტექსტში არსებული ცვლილებების მიმოხილვის მიზნით. ასეთივე დებატები უნდა გაიმართოს ფინანსური წლის დასასრულს“, რაც მონიტორინგმა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენისა და განხორციელების პროცესში, ფართო საზოგადოებრივი დიალოგის ფონზე, ვერ აღმოაჩინა. ამასთან, ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მაგალითზე, მკაფიოდ შეიძლება ითქვას, რომ გაზიარებული არ არის ევროსაბჭოს ერთ–ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია საქართველოსთვის, რომლის მიხედვითაც, „ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებებმა უნდა წაახალისონ მოქალაქეთა და სოციალურ პარტნიორთა მონაწილეობა საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მათთან რეგულარული კონსულტაციებით და მათთვის ამ საკონსულტაციო საკითხების ფინანსურ ასპექტებზე ობიექტური ინფორმაციის მიწოდებით.“ ორგანიზაციას მიაჩნია, რომ ადგილობრივი მთავრობა ვერ პასუხობს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს მთელი რიგი საზოგადოებრივი სფეროს სათანადო უზრუნველყოფის საკითხში. ჩვენი აზრით, თვითმმართველობის მიერ უფრო მეტია გასაკეთებელი ადგილობრივის მოსახლეობის სოციალური სფეროს გაუმჯობესების პროცესში.

მონიტორინგის განხორციელების პროცესში ყურადღება მიიქცია გამოცხადებული ტენდერების მიმდინარეობის საკითხმა. მუნიციპალურ დონეზე, ტენდერების გამჭვირვალობის საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან საჯარო ინფორმაციის სახით მიღებულ არც ერთ დოკუმენტში აღნიშნული არ არის კონკრეტულ შესყიდვაში მონაწილე კომპანია თუ იურიდიული პირი. მონიტორინგი მიუთითებს, რომ მუნიციპალური მმართველობის გამჭვირვალობისთვის კონკურენტუნარიან სატენდერო გარემოს არსებითი მნიშვნელობა გააჩნია. ამიტომაც, საკითხი ცალკე შესწავლას და დაზუსტებას მოითხოვს, რადგანაც ადგილობრივი თვითმმართველობა, ამ მიმართულებით, სამართლებრივი უხერხულობის წინაშე უკვე აღმოჩნდა. 2013 წლის ივლისში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა მუნიციპალიტეტის იმჟამად მოქმედი გამგებელი, სახელმწიფო შესყიდვების პროცესის დარღვევისთვის, სახელმწიფოს კუთვნილი 76 754 ლარის გაფლანგვის ბრალდებით დააკავეს, ასევე დაკავებულ იქნა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და კეთილმოწყობის სამსახურის სპეციალისტი. შევნიშნავთ, რომ გამოძიება მიმდინარეობს, არსებობს თითული მოხელის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმციის კონსტიტუციური პრინციპი, ხოლო ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიერ 2013 წლის 23 აგვისტოს მუნიციპალიტეტის ახალი გამგებელის დამტკიცებით, თვითმმართველობის გამჭვირვალობის პოლიტიკურ, სამართლებრივ და საზოგადოებრივ მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი. მართალია, ერთი მოსაზრებით, ადგილობრივი თვითმმართველობის მაღალი უფლებამოსილების მქონე პირები თვითმმართველობაზე პოლიტიკური ზეწოლის საფუძველზე დააკავეს, თუმცა არსებობს სახელმწიფო ბრალდების პოზიციაც და სამოქალაქო ჯგუფების კითხვებიც, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით, გამჭვირვალობის მაღალ საკითხს მოითხოვს.

მონიტორინგის განხორციელების პროცესში, ორგანიზაციამ საფუძვლიანად შეისწავლა თვითმმართველობის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის საკითხიც და ადგილობრივი დემოკრატიის თავისებურებები. მონიტორინგი ასაბუთებს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ადგილობრივი მკვიდრის, **თამარ კაიკაციშვილის** საკითხის განხილვის დროს მიმართა ერთპარტიული დემეოკრატიის პრინციპებს და სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მოადგილის გათავისუფლების შესახებ ბრძანების მიმართ, საკრებულოს წევრის, თემურ ჯინჭარაძის მხარდაჭერა ვერ შეაფასა მიუკერძოებლად და ობიექტურად, არ აღმოაჩნდა საკმარისი გამბედაობა, საქმეში დეპუტატის მონაწილოებისა და გამოხატული მხარდაჭერას შორის დაედგინა მართლზომიერების საკითხი. მონიტორინგი, ქობულეთის საკრებულოს გადაწყვეტილებებში ყურადღებას დაუთმობს თვითმმართველობის ორგანოს **მორალური** და **კანონიერი ვალდებულებების** შესრულების საკითხს და

[29] მიღებულია 2004 წლის 8 იანვარს, მინისტრთა კომიტეტის მიერ მინისტრთა მოადგილეების 867-ე სხდომაზე

ამ მიმართულებით, ნაწილობრივ/სრულად გაიზიარებს, თამარ კაიკაციშვილის საქმესთან დაკავშირებით, ქობულეთის საკრებულოს პოზიციისა და საკრებულოს წევრის თანამონაწილეობის საკითხზე მომზადებულ ორ ავტორიტეტულ დოკუმენტში, საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 21 მაისისა და აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს აგრარულ და თვითმმართველობის საკითხთა კომისიის 2013 წლის 12 აპრილის დასკვნებს.

ორგანიზაციის მონიტორინგი, სამართლებრივი შეფასებით, ნაწილობრივ ეყრდნობა საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის 21 მაისის დასკვნას ქობულეთის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების გადამეტების შესწავლის საკითხზე მოსაზრებას, რომლის თანახმადაც „ქობულეთის საკრებულოს წევრის თემურ ჯინჭარაძის ქმედებაში (სსიპ საზოგადოერბივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ სამეთვალყურეო საბჭოს 2012 წლის 2 ივლისისა (ოქმი #3) და 2012 წლის 4 ივლისის (ოქმი #4) სხდომებში მონაწილეობა და შესაბამის ოქმებზე ხელის მოწერა) არ იკვეთება უფლებამოსილების გადამეტების ნიშნები შემდეგი გარემოებების გამო: საკანონმდებლო ნორმები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს აძლევს უფლებამოსილებას ჰყავდეს თავისი კანინიერი წარმომადგენელი კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოში. მოცემულ შემთხვევაში, ქობულეთის საკრებულოს მიერ გამოყენებული იქნა მათთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება და ამავე საკრებულოს წევრს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სრული უფლებამოსილება გააჩნდა მონეწილეობა მიეღო სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებში. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმებიდან გამომდინარე, მისი ეს ქმედება ვერ იქნება განხილული, როგორც მის მიერ უფლებამოსილების გადამეტება“ (სტილი დაცულია), თუმცა სახალხო დამცველის აპარატის დასკვნაში, ცალსახად აღნიშნულია, რომ „საკითხის ობიექტურად და სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილი იყო სხდომაზე მიეწვია თამარ კაიკაციშვილი“ (სტილი დაცულია), რაც არ განხორციელებულა. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, თამარ კაიკაციშვილის კანონიერი წარმომადგენლის პოზიცია, საკრებულოს წევრმა საკითხის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის გარეშე მხარდაჭერა გამოთქვა პროფესიული სასწავლებლის დირექტორის ბრძანებების კანონიერების მიმართ, რაც დეპუტატის საკითხის მიმართ შერჩევით დამოკიდებულებასა და პარტიული ინტერესით მიღებულ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა, სამართლიანი შეხედულებებია.[30]

---

[30] განხორციელბული ცალკე მონიტორინგის ფარგლებში: „სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯ „ახალ ტალღაში“ ადმინისტრაციული მმართველობის გამჭვირვალობის შესახებ“, თბილისი, 2013, აღმოჩნდა, რომ კოლეჯის დირექტორმა თავისი თანამდებობა ხელისუფლებასთან სიახლოვითა და განათლების სამინისტროს პირველ პირებთან წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ურთიერთობებით შეინარჩუნა. იგი 2003 წლის არჩევნების დროს ხელმძღვანელობდა ქობულეთის საოლქო უბანს, რომელმაც არჩევნები „ნაციონალური მოძრაობის" სასარგებლოდ გადაწყვიტა. განსაკუთრებული აქტიურობა შესამჩნევი იყო 2008 წლის იანვრისა და მაისის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს, როცა საუბნო კომისიის წევრი იყო და „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ კამპანიას აწარმოებდა. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დროს, დირექტორი გავიდა ოფიციალურ შვებულებაში და ქობულეთში „ნაციონალური მოძრაობის" ღია მხარდამჭერის ფუნქცია შეასრულა. მან ყოფილი მმართველი პარტიის ადგილობრივ მაჟორიტარ კანდიდატ გელა ცხომელიძესთან ერთად არაერთი შეხვედრა გამართა ადგილობრივ ამომრჩეველთან, რასაც ადასტურებს საინფორმაციო სააგენტო „ინფო-9"–ის მიერ ადგილზე გადაღებული კადრებიც. დირექტორმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების გამართვამდე, პროფესიული კოლეჯი ყოფილი მმართველი პარტიის საუბნო კომისიის წევრების შეხვედრებისა და კონსულტაციების ადგილადაც აქცია, სადაც მიმდინარეობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი მხარდამჭერების ტრენინგები და გადამზადება. მეტიც, დადასტურებული ფაქტია, როდესაც კოლეჯის თანამშრომელი, საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი, თეონა მენაფირე გახდა თვითგამოცხადებული „ინფო-9"-ის ჟურნალისტი ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან, კოლეჯის თანამშრომელმა ერთ თვეზე მეტი დროით მიიღო შვებულება და აქტიურად ჩაერთო მაშინდელი ოპოზიციის – „ქართული ოცნების" მოსახლეობასთან შეხვედრების ხელშეშლსა და და მიკერძოებულ გაშუქებაში. დირექტორი, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, 2012 წლის 30 სექტემბერს, პრეზიდენტის ღირსების მედლითაც დაჯილდოვდა. ოფიციალური ვერსიით, მან ეს მაღალი სახელმწიფოებრივი ჯილდო ტურიზმის განვითარებისთვის მიიღო, თუმცა არსებობს მაღალი ალბათობა, რომ ის პოლიტიკური ერთგულებისთვის დააჯილდოვეს, რადგანაც ასეთი ჯილდოს გადაცემა მოხდა არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, რა დროსაც,

ორგანიზაცია შენიშნავს, რომ თამარ კაიკაციშვილის საკითხზე საკრებულომ იმსჯელა ერთპარტიული კომისიის შემადგენლობით, სადაც მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა, მოესმინათ თამარ კაიკაციშვილის მოსაზრება. საკრებულო პარტიულად გაემიჯნა საკრებულოს წევრსაც, რაც ადასტურებს მათ პოლიტიკური პასუხისმგებლობისა და ვალდებულების საკითხს, თუმცა ყველა სხვა მიღებული გადაწყვეტილებით, ვერ ასაბუთებს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის საკითხს. შესაბამისად, ქობულეთის საკრებულოს პასუხისმგებლობის საკითხზე მსჯელობისას, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს აგრარული და თვითმმართველობის საკითხთა კომისიის მიერ მომზადებული დასკვნა, რომელიც ცალსახად მიუთითებს, რომ „წარმოდგენილი მასალებით აშკარად იკვეთება, რომ მოქალაქე თამარ კაიკაციშვილის გათავისუფლება მოხდა „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული ინტერესების გამო. მიუხედავად არაერთი მომართვისა, საკრებულომ ჯეროვანი შეფასება არ მისცა ამ ფაქტს“ (სტილი დაცულია).[31]

მონიტორინგი სრულად იზიარებს აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს შეფასებას და მიუთითებს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტმა მხედველობაში არ მიიღო წარმოდგენილი მსჯელობა საკითხის მიმართ შემდგომი გადაწყვეტილებებისთვის.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ, თამარ კაიკაციშვილის საქმის მიმართ, საკუთარი მორალური და სამართლებრივი კომპეტენცია აჩვენა, სადაც პოლიტიკური ინტერესი უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე მოქალაქის უფლება. ამასთან, გამოვლინდა გარემოება, როდესაც ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ (თავმჯდომარის სახით) უარი თქვა თამარ კაიკაციშვილის წარმომადგენელთან წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოებრივ დებატებზე, მეტიც, საკრებულოს თავმჯდომარემ უარი თქვა კანონიერ წამომადგენელთან შეხვედრაზეც, რამაც ცხადყო, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო არ ფლობს ფართო საზოგადოებასთან დიალოგის კულტურას, დიალოგი და საჯარო დებატები თვითმმართველობის ორგანოში არ განიხილება, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის საშუალება და ერთ–ერთი სტრატეგია. სწორედ ამის ფონზე, თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ემსახურება მთავარი და წამყვანი სპეციალისტები საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში (საკრებულო) და საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურში. მონიტორინგი შენიშნავს, რომ თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები ვერ უზრუნველყოფენ მოსახლეობის ჯეროვან ინფორმირებას განხორციელებული პროექტების, პროგრამების ხელმისაწვდომობისა და დაგეგმილი სიახლეების შესახებ. მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის მომენტისთვის, არ ფუნქციონირებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ გვერდი, ხოლო 2012 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტული პროგრამების განხორციელების შესახებ, მწირი ინფორმაცია გვხდება თვითმმართველობის ოფიციალურ გვერდზე სოციალურ გვერდ Facebook-ზე,[32] რომელის მომხმარებელი, 2013 წლის 1 სექტემბრის მონაცემებით, მხოლოდ 557 ინტერნეტის მომხმარებელია. სულ, 2010 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში 91.100 ადამიანი ცხოვრობს.[33]

ტურიზმის დამსახურებისთვის სახელმწიფო ჯილდოს გადაცემის ლეგიტიმური ეჭვი, პრაქტიკულად არ არსებობს. თამარ კაიკაციშვილის გათავისუფლების მომენტისთვის, 2012 წლის 6 ივნისს, დირექტორი დავით მჭედლიშვილი ღიად წარმოადგენდა იმჟამად სახელისუფლებო პარტიის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს, ხოლო ყოფილი მოადგილე თამარ კაიკაციშვილი წარმოადგენდა ოჯახს, რომლის წევრიც, ვაჟა ბერიძე, იმჟამად მთავარი ოპოზიციური გაერთიანების – კოალიცია ,,ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის მრჩველთა საბჭოს წევრი იყო.

[31] აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 12 აპრილის დასკვნა თამარ კაიკაციშვილის საქმეზე.

[32] სოციალური მედიის ერთ–ერთი პრინციპის თანახმად, Facebook საზოგადოებასთან კომუნიკაციის ყველაზე მობილურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ოფიციალური გვერდი სოციალურ ქსელში 2012 წლის 26 აპრილიდან არსებობს.

[33] http://ka.wikipedia.org

მონიტორინგი შენიშნავს, რომ ქობულეთის მუნიციპალური პოლიტიკის განხორციელების დაგეგმარება, 2012 წლის დეკემბერში, 2013 წლის ახალი ბიუჯეტის შემუშავების პროცესში, კვლავ საზოგადოებრივი დისკუსიისა და სამოქალაქო ინიციატივების გარეშე მოხდა. ორგანიზაციამ მოიპოვა საკრებულოს 2013 წლის 23 იანვრის განკარგულება #01, რომლითაც განსაზღვრულია 2013 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა–განრიგი. სად უნდა დაიხარჯოს, რა პრიორიტეტებსა და საჭიროებებში 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი, მეტი თვალსაჩინოებისთვის, საკრებულოს განკარგულება თან ერთვის მონიტორინგის შედეგებს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №01

2013 წლის 23 იანვარი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის №256 განკარგულებით დამტკიცებული „2012 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა-განრიგში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის №256 განკარგულებით დამტკიცებული „2013 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა – განრიგში“ თანახმად დანართისა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაეკალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ე.ბაგრატიონი

დანართი

სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა

1. შეკვების თარიღი: 23 იანვარი 2013 წელი	2. შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი: 247001890
3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება: ქობულეთის მუნიციპალიტეტი	4. დაფინანსების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი
5. სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ჯამური თანხა დაფინანსების წყაროს შესაბამისად 8083225 ლარი	

№	დანაყოფის კოდი	დანაყოფის დასახელება		საგარაუდო ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვების დაწყების საგარაუდო ვადები	შესყიდვის ობიექტის მიწოდების საგარაუდო ვადა	შენიშვნა
1	03100000	სოფლის მეურნეობისა და ბაღჩეული პროდუქტები	მემორიალის შემკობა, 9 მაისს, 26 მაისს, 7 აგვისტოს და 27 სექტემბერს	1000,00	გ.შ.	I კვ	I-III კვ	
2	09100000	საწვავი	ბენზინი-68280 ლიტრი,	151020,00	კ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
3	09100000	საწვავი	დიზელი-10200 ლიტრი	24060,00	კ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
4	22200000	გაზეთები, სამეცნიერო ჟურნალები, პერიოდიკა და ჟურნალები	პერიოდული ლიტერატურის შეძენა	3930,00	გ.შ.	I კვ	I-IV კვ	
5	22800000	ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები	საკანცელარიო საქონელი	25960,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
6	30100000	საოფისე მანქანები, კომპიუტერების, პრინტერებისა და აქუსის გარდა	მცირეფასიანი საკანცელარიო საქონელი	35110,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
7	30100000	საოფისე მანქანები, კომპიუტერების, პრინტერებისა და აქუსის გარდა	ტონერის კარტრიჯები	24585,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
8	30200000	კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი	კომპიუტერული ტექნიკა	14910,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-II კვ	
9	30200000	კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი	კომპიუტერული აქსესუარები	21528,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-II კვ	
10	32300000	ტელე და რადიო მიმღებები, და ხმის ან ვიდეო ჩამწერები ან რეპროდუცირების აპარატურა	ტელევიზორი	1800,00	გ.შ.	I კვ	II კვ	
11	32500000	სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები და მარაგები	ტელეფონი	150,00	გ.შ.	I კვ	I-II კვ	
12	33600000	ფარმაცევტული პროდუქტები	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე "ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების მედიკამენტოზური დახმარების პროგრამა"	60000,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
13	33700000	პირადი ჰიგიენის პროდუქტები	სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები	1990,00	გ.შ.	I კვ	I-IV კვ	
14	34900000	სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობები და სათადარიგო ნაწილები	სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების შეძენა-მონტაჟი	18600,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-II კვ	

15	35100000	საგანგებო სიტუაციებისა და უსაფრთხოების მოწყობილობები	სახანძრო სამსახურის უნიფორმის შეძენა	12400,00	გ.ე.ტ.	I კვ	II კვ	
16	38600000	ოპტიკური ხელსაწყოები	პროექტორი, ეკრანი, ფოტოაპარატი	3800,00	გ.შ.	I კვ	II კვ	
17	39100000	ავეჯი	საოფისე ავეჯი	17060,00	გ.ე.ტ.	I კვ	II კვ	
18	39200000	ავეჯეულობა	სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი	7000,00	გ.ე.ტ.	I კვ	I კვ	
19	39700000	საოჯახო ტექნიკა	გაზის გამათბობლების შეძენა-მონტაჟიმაცივარი	3920,00	გ.შ.	I კვ	I-II კვ	
20	42500000	გამაგრილებელი და საგენტილაციო მოწყობილობები	კონდენციონერი	4200,00	გ.შ.	I კვ	I-II კვ	
21	44500000	ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაღვები და ზამბარები/რესორები	სამეურნეო საქონელი	4800,00	გ.შ.	I კვ	I-IV კვ	
22	45100000	ადგილის/სამშენებლო მოედნის მოსამზადებელი სამუშაო	დემონტაჟი	40000,00	ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
23	45100000	ადგილის/სამშენებლო მოედნის მოსამზადებელი სამუშაო	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში სკვერების მოწყობა, ფანჩატურების მოწყობა	200000,00	ე.ტ.	I კვ	I-II კვ	
24	45200000	სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	სოფელ ლუდვას წყლის სათავე ნაგებობის მშენებლობა და რეაბილიტაცია	393760,00	ე.ტ.	I კვ	I -III კვ	

25	45200000	სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა	952500,00	ე.ტ.	I კვ	I -IV კვ	
26	45200000	სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვა, სახლების წყალსარინი ღარების მოწყობა	373195,00	ე.ტ.	I კვ	I-II კვ	
27	45200000	სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	დაბა ოჩხამურში საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება(მე-2 ეტაპი)	32990,00	ე.ტ.	I კვ	I-II კვ	
28	45200000	სამუშაოები მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	სპორტული კომპლექსის მშენებლობა	3055313,00	ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
29	45300000	სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები	ქ.ქობულეთში ვერულიძის ქუჩის №9-ში მრავალბინიანი საცხოვრებელ სახლში კანალიზაციის მოწყობა	9530,00	გ.ე.ტ.	I კვ	I კვ	
30	48222000	ვებ-სერვერის პროგრამული პაკეტები	ვებ-სერვერზე ვირტუალური სივრცის გამოყოფა	708,00	გ.შ.	I კვ	I-IV კვ	

31	50100000	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	მანქანების რეცხვა	6400,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
32	50100000	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	მანქანების რემონტი	6500,00	გ.შ.	I კვ	I-IV კვ	საქართველოს მთავრობის დადგენილება N 26 2011 წლის 21 იანვარი
33	50100000	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	მანქანების რემონტი	80800,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
34	50232100	ქუჩის/გარე განათების ტექნიკური მომსახურება	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების წერტილების მიმდინარე მოვლა ექსპლუატაცია	17101,00	გ.შ.	I კვ	I კვ	გადაუდებელი აუცილებლობა
35	50232100	ქუჩის/გარე განათების ტექნიკური მომსახურება	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების წერტილების მიმდინარე მოვლა ექსპლუატაცია	212899,00	ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	

36	50300000	პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიო-ვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები	კარტრიჯების დატუმბვა	11085,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
37	55300000	რესტორნებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურებები	9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვებისადმი მიძღვნილი საზეიმო ბანკეტი 30 კაცზე	960,00	გ.შ.	II კვ	II კვ	
38	55500000	სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურებები	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე"სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამა"	13834,00	გ.შ.	I კვ	I კვ	გადაუდებელი აუცილებლობა
39	55500000	სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურებები	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე"სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამა"	160316,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
40	60100000	საავტომობილო ტრანსპორტი მომსახურებები	წვევამდელთა და რეზერვისტთა ტრანსპორტირება	21500,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
41	60100000	საავტომობილო ტრანსპორტი მომსახურებები	კულტურული ღონისძიებები ტრანსპორტირება 7000	7000,00	გ.ე.ტ.	I კვ	I კვ	
42	60100000	საავტომობილო ტრანსპორტი მომსახურებები	ქ. ალავერდში სპორტული დელეგაციის (16 კაცი) ტრანსპორტირება 1200 ლარი. წვევამდელთა და რეზერვისტთა ტრანსპორტირება	1200,00	გ.ე.ტ.	I კვ	I კვ	
43	64100000	საფოსტო და საკურიერო მომსახურებები	საფოსტო გზავნილები	7000,00	გ.შ.	I კვ	I-IV კვ	საქართველოს ფოსტა

44	64200000	სატელეკომუნიკაციო მომსახურებები	ფიჭური სატელეფონო მომსახურება	3192,00	გ.შ.	I კვ	I კვ	საქართველოს მთავრობის განკარგულება 24.12.2012 წელი #2045
45	64200000	სატელეკომუნიკაციო მომსახურებები	ფიჭური სატელეფონო მომსახურება	34045,00	კ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
46	64200000	სატელეკომუნიკაციო მომსახურებები	შიდა საქალაქო, საქალაქთაშორისო და სპეციალური კავშირები	21057,00	გ.შ.	I კვ	I-IV კვ	
47	66500000	სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები	ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის თანამშრომლების დაზღვევა	13500,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
48	66500000	სადაზღვევო მომსახურებები	ავტომანქანების დაზღვევა	14400,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
49	71200000	არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	შენობების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციების შედგენა	4000,00	გ.შ.	I კვ	I კვ	
50	71300000	საინჟინრო მომსახურებები	აზომვითი ნახაზების შედგენა	5000,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
51	71300000	საინჟინრო მომსახურებები	ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის II შესახვევი #3-ში სახაფშვო ბაღის მშენებლობის პროექტი	50000,00	კონკურსი	I კვ	I-IV კვ	
52	71300000	საინჟინრო მომსახურებები	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა	136500,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
53	72400000	ინტერნეტ მომსახურებები	ინტერნეტ მომსახურება	10200,00	გ.შ.	I კვ	I კვ	
54	75200000	საზოგადოებისათვის მომსახურებების გაწევა	ადმინისტრაციული შენობის დაცვა	69600,00	გ.შ.	I კვ	I-IV კვ	

55	79200000	საბუღალტრო, აუდიტორული და ფისკალური მომსახურებები	დამოუკიდებელი აუდიტორული და ბუღალტრული დასკვნების შესყიდვა	8000,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
56	79800000	ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	გამოქვეყნების ხარჯი	21712,00	გ.შ.	I კვ	I-IV კვ	
57	79900000	სხვადასხვა საქმიანობები და მათთან დაკავშირებული მომსახურებები	საარქივო დოკუმენტაციის დამუშავება	4500,00	გ.შ.	I კვ	I-IV კვ	
58	79899999	სხვადასხვა საქმიანობები და მათთან დაკავშირებული მომსახურებები	07 იანვარს ალილოს პროცესის კულტურული ღონისძიებით უზრუნველყოფა	500,00	გ.შ.	I კვ	I კვ	გადაუდებელი აუცილებლობა
59	79900000	სხვადასხვა საქმიანობები და მათთან დაკავშირებული მომსახურებები	კულტურული ღონისძიებები	9000,00	გ.ე.ტ.	I კვ	I კვ	
60	79900000	სხვადასხვა საქმიანობები და მათთან დაკავშირებული მომსახურებები	კულტურული ღონისძიებები	18600,00	გ.ე.ტ.	II კვ	II-III კვ	
61	79900000	სხვადასხვა საქმიანობები და მათთან დაკავშირებული მომსახურებები	კულტურული ღონისძიებები	16400,00	გ.ე.ტ.	III კვ	III-IV კვ	
62	79900000	სხვადასხვა საქმიანობები და მათთან დაკავშირებული მომსახურებები	კულტურული ღონისძიებები	11500,00	გ.ე.ტ.	IV კვ	III-IV კვ	
63	80500000	სატრენინგო მომსახურებები	კადრების მომზადება, კვალიფიკაციის ამაღლება	8600,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
64	85130000	სტომატოლოგიური და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	სტომატოლოგიური მომსახურება	30000,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	

65	85100000	ჯანდაცვის სამსახურის მომსახურებები	სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურეობის პროგრამა	6860,00	გ.შ.	I კვ	I კვ	გადაუდებელი აუცილებლობა
66	85100000	ჯანდაცვის სამსახურის მომსახურებები	სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურეობის პროგრამა	75460,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
67	90400000	ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებული მომსახურებები	ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების ექსპლუატაციის პროგრამა	5577,00	გ.შ.	I კვ	I კვ	გადაუდებელი აუცილებლობა
68	90400000	ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებული მომსახურებები	ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების ექსპლუატაციის პროგრამა	86478,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
69	90600000	ქალაქის ან სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტალური მომსახურება, ასევე მათთან [illegible]	სანიტარული დასუფთავება	74136,00	გ.შ.	I კვ	I კვ	გადაუდებელი აუცილებლობა
70	90600000	ქალაქის ან სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტალური მომსახურება, ასევე მათთან დაკავშირებული მომსახურებები	სანიტარული დასუფთავება	1235864,00	ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
71	90900000	დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადეზინფექციო ღონისძიებები	30000,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	
72	92200000	რადიო და სატელევიზიო მომსახურებები	ინტერაქტიური ტელევიზია	1440,00	გ.შ.	I კვ	III კვ	
73	92600000	სპორტული მომსახურებები	სპორტული ღონისძიებები	1550,00	გ.ე.ტ.	I კვ	I კვ	
74	92600000	სპორტული მომსახურებები	სპორტული ღონისძიებები	3700,00	გ.ე.ტ.	II კვ	II-III კვ	
75	92600000	სპორტული მომსახურებები	სპორტული ღონისძიებები	7440,00	გ.ე.ტ.	IV კვ	IV კვ	
77	98300000	სხვადასხვა მომსახურებები	ახალგაზრდული ღონისძიებათა ხელშეწყობა	22000,00	გ.ე.ტ.	I კვ	I-IV კვ	

6. სარეკომენდაციო ნაწილი

საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას

საქართველოს აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ უზრუნველყოს ადგილობრივ თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ეფექტური კონტროლის ფუნქციის შესრულება და ამ მიმართულებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობის შემოწმება 2012 წლის მანძილზე განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მიზნობრიობასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, განხორციელდეს სრულყოფილი აუდიტი ქობულეთის მუნიციპალიტეტში, 2012 წლის მანძილზე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის ნაწილში, რადგანაც ასეთი აუცილებლობა განპირობებულია იმ ბუნდოვანი მემკვიდრეობით თუ ვითარებით, რომელსაც წინ უსწრებდა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ხელისუფლების პირველი პირების დაკავებას სახელმწიფო შესყიდვების პროცესში არსებული დარღვევების გამო. თუკი არსებობს კომპეტენტური ორგანოების კანონიერი ინტერესი და 2013 წლის ივლისში, მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა დაპატიმრების ღონისძიება, ერთი მოსაზრებით, არ ემსახურებოდა შერჩევით სამართალს, ასეთი მოსაზრების საპირწონედ, სახელმწიფოს შესაბამისი მაკონტროლებელი ორაგნოები მზადყოფნას უნდა გამოთქვამდნენ, რათა გაგრძელდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი შტოთა საქმიანობის შემოწმება/კონტროლი და საზოგადოებას მიეწოდოს ობიექტური ინფორმაცია საკითხებზე, რომელიც უკავშირდება ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მიზნობრიობას, სატენდერო კომისიის მუშაობის გამჭვირვალობას და განხორციელებული თუ მიმდინარე პროგრამების შესაბამისობას რეალურ საჭიროებებთან და საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, 2012 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების სახეობების გასაჯაროება და სატენდერო კონკურსში მონაწილე/გამარჯვებული კომპანიების გამოქვეყნება 2013 წლის 1 ოქტომბრამდე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.
2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უზრუნველყოს 2013 წლის 1 სექტემბრამდე, ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების პროცესის საჯაროობა და ტენდერებში მონაწილე კომპანიებისა და შესყიდული სახეობების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.
3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ წარმოადგინოს 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელებული პროექტების/პროგრამების საჭიროების ექსპერტული დასკვნა და განმარტოს, არჩეული პრიორიტეტების მიზანშეწონილობა ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებთან მიმართებით
4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა და წარმომადგენლობითმა ორგანოებმა განმარტონ შტატგარეშე თანამშრომელთა საჭიროება საქმიანობის განხორციელების პროცესში და გამოაქვეყნონ ინფორმაცია მათი საქმიანობის ტიპის შესახებ.
5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა და წარმომადგენლობითმა ორგანოებმა საზოგადოებისთვის საჯარო გახადონ განხორციელებული მივლინებების პერიოდები, მიზნობრიობა, ტიპი და მასში მონაწილე საჯარო მოსამსახურეთა შემადგენლობა.
6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის აღმასრულებელმა და წარმომადგენლობითმა ორგანოებმა უზრუნველყონ 2012 წლის მანძილზე ადგილობრივ მოქალაქეებთან შეხვედრების სტატისტიკის გამოქვეყნება და მათი მიმართვიანობის შედეგად,

დაკმაყოფილებული საქმეების/საკითხების შინაარსობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოქვეყნება 2013 წლის 1 ოქტომბრამდე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

7. ქობულეთის საკრებულომ უზრუნველყოს არსებული საზოგადოებრივი დარბაზის შემადგენლობის გადახალისება და გაფართოება, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ ადგილობრივი საზოგადოებისთვის ავტორიტეტული ადამიანები, სამოქალაქო სექტორის ფართო წრე, დარგის სპეციალისტები, თვითმმართველობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები. მნიშვნელოვანია, გაფართოვდეს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტილებებში და ადგილობრივმა მთავრობამ დაიწყოს ფართო დიალოგი მოქალაქეებთან მუნიციპალური პროექტების/პროგრამების განხორციელების განხორციელებისას.
8. ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა და წარმომადგენლობითმა ორგანოებმა გადახედონ პრემიებით უზრუნველყოფის საკითხს. პრემიით უზრუნველყოფა კანონით გარანტირებული უფლებაა, თუმცა კანონით ნებადართული უფლების გამოყენება უნდა პასუხობდეს შესრულებული ვალდებულებების იმ ხარისხს, რომელიც გამართლებულს გახდის საჯარო მოსამსახურეთა პრემიებით უზრუნველყოფას და შესაბამისობაში იქნება საზოგადოებრივ ინტერესთან
9. ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ ეფექტური კომუნიკაცია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მეშვეობით. ორგანიზაცია, ამ მიმართულებით, გამოთქვამს კრიტიკულ პოზიციაც და მიაჩნია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ხელისუფლების საქმიანობის მიმართ ნდობის ხარისხი განპირობებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების არაეფექტური მუშაობით. ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს „ადგილობრივ საჯარო საქმეებში მოქალაქეთა მონაწილეობის თაობაზე“ ევროსაბჭოს 2001 წლის 6 დეკემბრის ადგილობრივი მთავრობებისათვის მიღებული დოკუმენტის მნიშვნელობაზე და აუცილებლად მიიჩნევს, თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებმა უზრუნველყონ მაღალი კომუნიკაციის ხარისხი მოქალაქეებთან, მედიასთან, სამოქალაქო ჯგუფებთან, არასამთავრობო სექტორთან და შექმნან საქმიანობის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგია.
10. ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებმა იზრუნონ საჯარო მოსამსახურეთა შესაძლებლობების განვითარებისა და პროფესიული კურსების მიმართულებით სპეცილური პროგრამის ამოქმედებისათვის. ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებში დასაქმებულთა რაოდენობის მიზანშეწონილობის საკითხზეც და თვითმმართველობას მიმართავს, უპირატესობა მიანიჭოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით თანამშრომელთა მიღებას ღია კონკურსების საფუძველზე. მონიტორინგმა ცხადყო, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტი უპიარტესობა არ ანიჭებს ღია კონკურსების გზით თანამშრომელთა მიღების შესაძლებლობას.
11. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მმართველობითმა ორგანოებმა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გაიზიაროს მაჟორიტარი დეპუტატის ცალკეული ხედვები, რომლებიც დაკავშირებული იქნება პროგრამული სფეროების მდგრადობასთან და მუნიციპალური პოლიტიკის განხორციელების პროცესში, შექმნის თანამონაწილეობისა და თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკას.
12. ქობულეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა და წარმომადგენლობითმა ორგანომ საჯარო და ღია მმართველობის პრინციპებიდან გამომდინარე, განუხრელად დაიცვან კანონმდებლობით გათვალისწინებული პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და უარი თქვან მანკიერ პრაქტიკაზე, რომელიც არსებობდა 2004–2012 წლის ცენტრალიზებული მმართველობის პერიოდისთვის.
13. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, დაიწყოს ადგილობრივ საზოგადოებასთან სტრუქტურული დიალოგი თვითმმართველი ქალაქის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტების, მიზნობრივი პროგრამებისა და საჭიროებების ობიექტურად შეფასებისა და ფორმულირების გზით. ამ მიმართულებით, ორგანიზაციას მიაჩნია, რომ 2014 წლის

ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი უნდა გახდეს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისი და ფართო დიალოგის ფარგლებში, საზოგადოებრივმა წრეებმა მიიღოს გადაწყვეტილებები შემდეგ მნიშვნელოვან წინადადებებზე:

- მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობის გაძლიერებისა და წახალისების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეთნიკური უმცირესობების დაცვისა და მათი ინტეგრირების პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილნაცვალი პირების პირობების გაუმჯობესების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ხანდაზმული ადამიანების სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
- იპოთეკური დავალიანების მქონე მოსახლეობის ერთჯერადი დახმარების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
- მუნიციპალიტეტში მცხოვრები წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის სპეციალური პროგრამის შექმნის საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
- მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების ერთჯერადი საზაფხულო დასაქმების პროგრამის ამოქმედების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
- მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სისტემის გაძლიერებისა და მოტივირების სპეციალური პროგრამის ამოქმედების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება და სახელობითი სტიპენდიების დაწესება წარმატებული ქობულეთელი პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვის და სტუდენტებისათვის
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის, უფასო სამედიცინო დიაგნოსტიკის სპეციალური პროგრამის ამოქმედების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება და წამყვანი ქართული სამედიცინო კლინიკის სპეციალისტების მოწვევა
- სოფლად საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის პარკინგის განახლების საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება.
- მუნიციპალიტეტის სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის გაზიფიკაციის საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება
- მუნიციპალიტეტში დაცული ტერიტორიებისა და ნაკრძალების განვითარებისა და ტურისტული მიმზიდველობის შესახებ სპეციალური პროგრამის ამოქმედების პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რელიგიური ნაგებობების რესტავრაციისა და ხელშეწყობის სპეციალური პროგრამის ამოქმედების პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებისა და ნაგებობების რეაბილიტაციის საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება